ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 5 სექტემბერი, 2022 №174 (8952) ფასი: 80 თეთრი

## ბოდბეში ქალის დაჭრის ბრალდებით ქმარი დააკავეს




გვ.5

# „აღარ გვყავს სოსო. წავიდა...“

„ახალი თაობის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი სოსო გოგინაშვილი გარდაიცვალა



## „მადლობა, სოსიკო!“ — ასე გეძახდით ხოლმე ჩუმად!“

სოსო რამდენიმე ენთუზიასტ კოლეგასთან ერთად იყო ქართული მედიის ოქროს ხანის არქიტექტორი“



გვ.2-3

## „ასეთი გაშეშებული ოპოზიცია საქართველოს არ ჰყოლია“



გვ.4

გიგა ბუკია: „30 წელიწადია, ან დესტაბილიზაცია ხდება, ან რყევების მოლოდინში ვართ“

## „ჯერ აწამა, სცემა, მერე ყელი გამოსჭრა“



გვ.5



## მამაკაცს საკუთარმა ტრაილერმა გადაუარა



1993230720223

5 500 ლარით დაჯარიმდებით, თუ თქვენს ავტომობილს დამუქებული მინები აქვს

6 დონალდ ტრამპმა ჯო ბაიდენს „სახელმწიფოს მტერი“ უწოდა

5 სიჩქარის გადაჭარბებაზე ჯარიმები იზრდება

6 ოკუპანტებმა ენერგოდარში ჰუმანიტარული ტვირთი არ შეუშვეს

# „მადლობა, სოსიკო!“ — ასე გეძახდით ხოლმე ჩუმად!“



ნონა ცაბაძე

**დიდხანს ვიფიქრე, როგორ დამეწყო. ძალიან ბევრჯერ დავიწყე და წავშალე. ასე არცერთი სტატიის დაწყება არ გამჭირვებია, მაშინაც კი, როდესაც სრულიად გამოუცდელი, ახალბედა სტუდენტი მივედი „ახალ თაობაში“. დღეს არ დავწერ, რომ „ახალი თაობის“ კითხვებს ესა და ეს პოლიტიკოსი პასუხობს დღეს გაზეთ „ახალი თაობის“ დამფუძნებელს სოსო გოგინაშვილს გავიხსენებთ მის მიერ დაფრთიანებული და შვილივით გამოზრდილი ჟურნალისტები. ძალიან მძიმეა მასზე წარსულში საუბარი, თუმცა სხვა გზა არ გვაქვს. ვიხსენებთ სოსო გოგინაშვილს, ადამიანს, რომელმაც მედიაეპოქა შექმნა.**

**ანი მიროტაძე:**

***— ანი, ძალიან მძიმეა სოსო გოგინაშვილზე წარსულზე საუბარი, მაგრამ გვიწევს.***

— ვერც წარმომიდგენია „ახალი თაობა“ სოსოს გარეშე. მეორე კურსზე ვიყავი, გაზეთში რომ მივედი. მაშინ ხომ სავალდებულო იყო, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე რომ სწავლობდი, ზაფხულში აუცილებლად პრაქტიკა უნდა გაგევლო. „ახალ თაობაში“ მოვედი პრაქტიკისთვის. არ დამავიწყდება, სოსომ დახასიათება არ მომცა. ვფიქრობდი, რატომ არ მაძლევდა დახასიათებას, თქმასაც ვერ ვუბედავდი. ბოლოს მაინც გავბედე და ვკითხე, ხომ დავწერე, ხომ გამოქვეყნდა ჩემი სტატიები-მეთქი. სოსომ მითხრა მაშინ, რა თქმა უნდა, მოგცემ ამ დახასიათებას, ამის პრობლემა არ არის, მაგრამ მე ძალიან მინდა, ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდესო. ის იყო დაუვიწყარი დღე ჩემს ცხოვრებაში.

***— ძალიან რთული პერიოდი იყო 90-იანები, როდესაც გაზეთი დაარსდა. უამრავი დაბრკოლება გადალახა და თავისი ისტორია დაწერა.***

— ჩემთვის „ახალ თაობაში“ მუშაობის დაწყება იყო ძალიან დიდი პრესტიჟის ამბავი. თან ძალიან ახალი გამოცემა იყო, მაგრამ უკვე — ძალიან პრესტიჟული. მე მერგო ეს პატივი, რომ ჩემი სტატიები გამოქვეყნებულიყო ამ პრესტიჟული გაზეთის გვერდებზე.

***— ძალიან დიდ პატივს სცემდა თავისუფალ სიტყვას და ჟურნალისტსაც სრულ თავისუფლებას აძლევდა. შეუზღუდიხარ ოდესმე?***

— არასოდეს! მე ვერ შევდგებოდი ჟურნალისტად, შეზღუდვები რომ მქონოდა. რას ნიშნავდა სიტყვის თავისუფლება, თავისუფლება, როგორც ცნება, გვასწავლა სოსომ პირდაპირი მნიშვნელობითა და პირდაპირი გაგებით. როგორ უნდა იყო თავისუფალი ჟურნალისტი და როგორ უნდა შეგეძლოს თავისუფალი აზროვნება, ჩვენ გვასწავლა სოსო გოგინაშვილმა. მე და ჩემი თაობის ჟურნალისტებს, რომლებმაც „ახალ თაობაში“ დავიწყეთ მუშაობა, ძალიან გაგვიმართლა, თავისუფლება და პროფესია გვასწავლა სოსო გოგინაშვილმა, ადამიანმა, რომელსაც შეეძლო, ყოფილიყო შენი მბეჭდავი, როცა მოდიოდი დაღლილი და მასალა მოგქონდა, ჯდებოდა ჩემ გვერდით, ვბეჭდავდით ერთად და ვქმნიდით ახალ სტატიებს. თუ ჩათვლიდა, რომ რამე იყო ამოსაღები სტატიიდან, ჩემთან შეთანხმების გარეშე არაფერს შეცვლიდა, თან დამისაბუთებდა, რატომ ჯობდა ასე. ეს ადამიანი ჩემთვის ჩვეულებრივი ადამიანი არ არის.



***— შვილივით უყვარდა გაზეთიც და მისი ყველა ჟურნალისტიც.***

— კი, მეც ასეთი განცდა მქონდა, რომ მისი შვილი ვიყავი. რომ შემოვიდოდი „ახალი თაობის“ ოფისში, პირველი კითხვა იყო, რა გაქვს? მეც ამაყად ვეტყოდი, მაქვს და ერთი სული ჰქონდა, როდის დავწერდი, რომ წაეკითხა. როდესაც წაიკითხავდა, უკვე მისი გამომეტყველებით ვხვდებოდი, რამდენად მოეწონა. თუ რამეს დამავალებდა და ვეტყოდი, რომ მე ეს არ შემეძლო, მაშინვე მეტყოდა: როგორ არ შეგიძლია, შეგიძლია! იმ დროს მეგონა, რომ მთებსაც გადავდგამდი. მისთვის არ შემიძლია არ არსებობდა. გაზეთის ნომერი რომ გამოვიდოდა, თუ კარგი სტატიები გვქონდა და ტირაჟს ვზრდიდით, ისეთი ამაყები ვიყავით, რომ სიტყვებით ვერ გადმოვცემ. ჩვენთან ერთად პატარა ბავშვივით უხაროდა.

***— გაიხსენებ კიდევ რამე ისტორიას?***

— რას გავიხსენებ, იცი? ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი, რომ კახა თარგამაძესთან ინტერვიუ ჩამეწერა. სოსომაც იცოდა ეს და ერთი-ორჯერ მკითხა კიდეც, სად არის აბა შენი კახა თარგამაძეო. მე ვუთხარი, იქნება-მეთქი, ამ დროს თან არ ვიცოდი, იქნებოდა თუ არა. შენც კარგად იცი, იმ პერიოდში რა რთული იყო ეს ყველაფერი. ასე ხელმისაწვდომი არ იყო პირველ პირებთან ინტერვიუები. ვიფიქრე, როგორ ვერ უნდა გავაკეთო-მეთქი, უკანდაუხევლობაც ხომ სოსომ გვასწავლა. ერთ დღესაც ეს ინტერვიუ ჩავწერე. შემოვედი რედაქციაში. ისეთი ამაყი ვარ, ისეთი გაბადრული და სოსო უცებ მიხვდა, რომ რაღაც კარგი მაქვს. მეკითხება, ანი, რა ხდება? არის თარგამაძე! მაშინ მითხრა, ყოჩაღ, ძალიან მაგარი გოგო ხარო და ვერ გადმოგცემთ იმ გრძნობას, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ. ახლაც რომ ვიხსენებ, ისევ გაცოცხლდა ის ემოცია. იმდენი რამე იყო, იმდენი ისტორია. ისეთ სიტყვას გეტყოდა, რედაქციიდან გასული, ფიქრობდი, რომ მთებს გადაატრიალებდი. ამ დროს კი სოსო ატრიალებდა მთებს ჩვენთან ერთად.

***— ანი, რას გვეტყვი თაობელებს, რომლებიც დღესაც აქ ვართ?***

— ეს ყველაფერი იყო ძალიან ადრე, მაგრამ ამ ამბით თავზარი დამეცა. ხომ არის, რომ ადამიანი დიდხანს არ გინახავს, მაგრამ მაინც შენ გვერდით გეგულება. ახლა კი ეს ძალიან ცუდი განცდაა. იმას გეტყოდით, რომ ორმაგად და სამმაგად მეტი უნდა გავაკეთოთ ყველამ ერთად ახლა სოსოსთვის. იმ თამასამ, რაც სოსომ გააკეთა, არ უნდა დაიწიოს. ეს არ ეკადრება სოსოს და იმიტომ...

**გიორგი უძილაური — „ახალი თაობის“ ყოფილი ჟურნალისტი:**

— 17 წლის ბიჭმა დაუპატიჟებლად, ყოველგვარი პროტექციის გარეშე შევაღე „ახალი თაობის“ რედაქციის კარი და მისალმებისთანავე გამოვაცხადე, რომ გადავწყვიტე, აქ დამეწყო მუშაობა.

მოღიმარმა კაცმა ამათვალიერ-ჩამათვალიერა და კახური პირდაპირობით მიპასუხა: დაიწყე მერე, ოღონდ დღეიდანვეო. და მეც დავიწყე და 15 წელი გავატარე ყველა უნივერსიტეტზე მაღალ სასწავლებელში, რომელსაც ის მოღიმარი კაცი, სოსო გოგინაშვილი მართავდა. ამ სკოლაში ვისწავლე წერა-კითხვაც, პოლიტიკაც, მოვლენების ანალიზიც და ძალაუფლებასთან შეხებაში მყოფი სხვადასხვა პირის ქმედებაც. ამ სკოლის დამსახურებით უშუალოდ ვიყავი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მოვლენების თვითმხილველიც, აღმწერიც და შემფასებელიც. მოვინახულე ათობით ქვეყანა და შევიძინე უამრავი მეგობარი. ახლა, სოსოს წასვლის შემდეგ რომ ვუფიქრდები, არც 15 წლის განმავლობაში და არც შემდეგ არასდროს მომხდარა, სოსოს რამე შენიშვნა მოეცა. პირიქით, ჩემთვის ბოლომდე ამოუხსნელი დარჩება ის ენერგეტიკა, რომელსაც ის ქმნიდა მიზნის მისაღწევად, ამ შემთხვევაში კი მისი უნარებისა და გამოცდილების უანგაროდ, უფრო მეტიც, ენთუზიაზმით გასაზიარებლად.

უმთავრესი, რაც სოსომ მასწავლა, იყო მოვლენების დანახვა რამდენიმე რაკურსიდან და ამ მოვლენის მიზეზის ძიება. კონკრეტული სუბიექტის ქმედების შეფასებამდე მისი მოტივაციის გარკვევა.

და ბოლოს, სოსო, რამდენიმე ენთუზიასტ კოლეგასთან ერთად, იყო ქართული მედიის ოქროს ხანის არქიტექტორი. მედიის აღმასვლა გრძელდებოდა 1995 წლიდან 2003 წლის ბოლომდე. ის იყო ეპოქა, რომელშიც ჩამოყალიბდა არა მხოლოდ თავისუფალი ქართული ჟურნალისტიკა, არამედ რეალური თავისუფალი სიტყვა და დემოკრატიის ფუნდამენტი. დღეს მედიასფეროში ფაქტობრივად აღარ დარჩნენ სოსო გოგინაშვილის მსგავსი მებრძოლი და უკომპრომისო ენთუზიაზმით შეპყრობილი იდეალისტები.

**ლადო მკერვალიშვილი — „ახალი თაობის“ რედაქტორის ყოფილი მოადგილე:**



— 1998 წელი იყო. იმ დღეს შემთხვევით მოვხვდი „ახალი თაობის“ რედაქციაში და ვთქვი, რომ რამდენიმე წუთის წინ მეტროსადგურ „ვაგზლის მოედანზე“ კაცი ჩაუვარდა მატარებელს. სოსომ გაიგონა და მთხოვა, თუ გცალია, დაწერე, რაც ნახეო. დავწერე ფურცელზე 2 აბზაცი, დავტოვე და წამოვედი. მეორე დღეს ვნახე, რომ ეს ამბავი ჩემი სახელით იყო დაბეჭდილი. სოსომ კი დამიბარა და მითხრა, რომ შემეძლო, მეწერა გაზეთისთვის.

სოსო იყო, რომელმაც დამარწმუნა, რომ შემეძლო, დიდ საქმეებს შევჭიდებოდი. მალე რედაქტორის მოადგილედაც დამნიშნა. 5 წელი ვიმუშავე „ახალი თაობის“ რედაქტორის მოადგილედ. 5 წლის განმავლობაში უამრავი მძიმე წუთი ყოფილა, ყოველთვის სოსოსთვის მოსაწონ სათაურსაც ვერ ვარქმევდი მასალებს, მაგრამ არ მახსოვს, სოსოს ჩემი თანდასწრებით ტონისთვის აეწიოს ან „ლადუშას“ გარეშე მოემართოს. სოსომ მასწავლა, ვიპოვო მთავარი ძალიან ბევრ მეორეხარისხოვან ამბავში და, რაც მთავარია, შევინარჩუნო სიმშვიდე უკიდურესად დაძაბულ სიტუაციაში.

სოსო, ძალიან ბევრი წლის წინ არცთუ ისე თამამი სტუდენტი ბიჭისთვის მიცემულმა შანსმა ამ ბიჭის მთელი გეგმები შეცვალა, სულ რომ არ ფიქრობდა, იმ მიმართულებითაც დაიწყო საქმიანობა, წარმატებასაც მიაღწია, ცოტა მეტად თამამიც გახდა და ახლა საჯაროდაც გიხდი მადლობას.

„მადლობა, სოსიკო!“ — ასე გეძახდით ხოლმე ჩუმად!

# ღარიბაშვილი ბათუმში „პალმის კუნძულის“ გაშენებას გეგმავს



პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბათუმში „პალმის კუნძულის“ პროექტი წარადგინა. პრეზენტაციისას მან კვლავ ორნიშნა ეკონომიკურ ზრდაზე ისაუბრა.

— დარწმუნებული ვარ, რომ რეგიონში უმსხვილესი საინვესტიციო პროექტი ხელს შეუწყობს ბათუმის ისედაც ძლიერი საერთაშორისო რეპუტაციის ზრდას და აჭარის ეკონომიკურ წინსვლას, — თქვა ღარიბაშვილმა. მისივე თქმით, ეს პროექტი სრულად შეესაბამება ეკოლოგიურ სტანდარტებს.

— ჩვენ დღეს ქვეყანაში გვჭირდება ასეთი პროექტების განხორციელება. დიდი, მასშტაბური პროექტების განხორციელება... ის ფაქტი, რომ ჯგუფმა გადაწყვიტა ასეთი მასშტაბური პროექტის დაწყება და განხორციელება, კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ დღეს საქართველოში არის უნიკალური პირობები შექმნილი. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა მაშინ, როცა თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მთელი მსოფლიო დღეს უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას, რეცესია არის ყველგან თითქმის და ჩვენ შევინარჩუნეთ პირველ რიგში მშვიდობა, სტაბილურობა და ძლიერი ეკონომიკური განვითარება, — თქვა ღარიბაშვილმა.

მანამდე კი, ივლისის ბოლოს, მთავრობამ ბათუმში შავ ზღვაში ხელოვნური „პალმის კუნძულის“ პროექტს „განსაკუთრებული ობიექტის“ სტატუსი მიანიჭა. ცვლილება მთავრობის დადგენილებაში „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ შევიდა.

— შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის/ნახევარკუნძულის მოწყობა და მასთან დაკავშირებული სამუშაო განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების სიას დაემატა.

ცნობისთვის, თორნიკე რიჟვაძემ ბათუმში პალმის ფორმის კუნძულის მოწყობა 2021 წლის სექტემბერში დააანონსა.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „აღარ გვყავს სოსო. წავიდა...“

## „ახალი თაობის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი სოსო გოგინაშვილი გარდაიცვალა

გუშინ სოსოს მეუღლემ, დალიმ, „ფეისბუკზე“ დაწერა: „აღარ მყავს სოსო. წავიდა“. წავიკითხე ეს ოთხი, ყველანაირი ტკივილის მომცველი სიტყვა და ვერაფერი დავწერე. ვერ მოვძებნე ვერცერთი მანუგეშებელი ფრაზა, რადგან ასეთი არ არსებობს.

აღარ გვყავს სოსო. წავიდა...

ოჯახის წევრების გარდა, ყველას გვყავს ცხოვრებაში ისეთი ადამიანები, რომელთა შენ გვერდით არსებობა უკვე ნუგეშია. შეიძლება, წლების განმავლობაში ვერ დაურეკო, ვერ ნახო, მაგრამ გეიმედება, რომ არსებობენ და ნებისმიერ დროს შეგიძლია, რჩევისთვის მიმართო. ასეთი ადამიანი იყო ჩემთვის სოსო. რამდენიმე წელია, არ მინახავს, არც ტელეფონით მისაუბრია, მაგრამ მეგულებოდა და მეიმედებოდა...

სიცოცხლეში და ახლაც, როდესაც სოსო იმიერ საქართველოს შეუერთდა, გარდა იმისა, რომ საოცრად მტკივა და მენანება, მის მიმართ მადლიერების გრძნობა მაქვს და მექნება.

მედიკოსა და დალის სტუდენტობის წლებიდან ვიცნობდი. მედიკოსთან ვმეგობრობდი. 1993 წლის ერთ დღეს მედიკომ ჩვენს საერთო მეგობართან, ნინო ყიფიანთან შეხვედრა მთხოვა, ჩემმა სიძემ გაზეთი „ახალი თაობა“ დააფუძნა, სულ მალე პირველი ნომერი უნდა გამოვიდეს და გუნდს კრებსო. მე შენი თავი შევთავაზე, თეატრზე რომ რეცენზიები დაწეროო (მაშინ თეატრზე უგონოდ შეყვარებული თეატრმცოდნე ვიყავი) და მოდი რედაქციაში, ლერმონტოვის 11-ში ვართ, სოსოს გაიცნობ და თან გაისაუბრებთოო.

გახარებული და აჟიტირებული მეორე დღეს ლერმონტოვის 11-ში მივქანდი (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით). დიდ ოთახში, მიქანებულ-შექანებულს, დიდ ოვალურ მაგიდასთან ფეხი-ფეხზეგადადებული, სკამზე გვერდულად მჯდომი სოსო დამხვდა. მივესალმე და წერტილ-მძიმის გარეშე, მთელი ემოციებით, ყველაფერი ერთად მოვუყევი – როგორ გამიხარდა შეთავაზება, როგორ ჩავირიცხე და როგორ დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი, დიპლომზე მუშაობის დროს სუნთქვის შეკვრამდე როგორ შემიყვარდა ჩემი ქმარი, როგორი მაგარი ფეხბურთელი ძმა მყავს (სოსო ფეხბურთის საოცრად კარგი მცოდნე და მოყვარული იყო), მის მიერ ერთადერთი გატანილი გოლით ლანჩხუთის „გურია“ როგორ გადავიდა უმაღლეს ლიგაში, როგორ ვმეგობრობდი და ვმეგობრობ ჩემი ძმისა და ჩემს ბიჭ მეგობრებთან, ბავშვობაში სიელმის გამო „შაშუ-ბეშას“ როგორ მეძახდნენ და ნარდის თამაში პროტესტის ნიშნად არ ვისწავლე, რადგან დღესაც, „შაშუ-ბეშ“ რომ მესმის, ბატონოს ვამბობ, მგონია, მე მეძახიან. მოკლედ, ბავშვობიდან იმ დღემდე მთელი ჩემი ბიოგრაფია ჩავურაკრაკე. სოსო კი ზის მშვიდად, თავი ოდნავ გვერდით აქვს გადახრილი და მისმენს, არ მაწყვეტინებს ამ ქარბორბალა საუბარს. მხოლოდ ერთხელ ჩაერთო საუბარში, ჩემს ძმაზე რომ ვუყვებოდი, ისიც ფეხბურთისადმი დიდი სიყვარული გამო. დავასრულე, ამოვისუნთქე და სოსომ მხოლოდ ერთი ფრაზა მითხრა: ხო, ლაპარაკთან მწყრალად არ ხარ. ასე გავიცანი სოსო ლერმონტოვის 11-ში, დიდი ოთახის დიდ ოვალურ მაგიდასთან. მერე პირველი დავალება მომცა, დაწერე რომელიმე სპექტაკლზე რეცენზიაო. მაშინვე სხაპასხუპით მივაყარე, ახმეტელის თეატრში ნუკრი ქანთარიამ ძალიან კარგი ახალი სპექტაკლი, „ლაბირინთი“, დადგა, ორი არაჩვეულებრივი მსახიობი – ნუგზარ ყურაშვილი და ბესიკ მეგრელიშვილი ფანტასტიკურად თამაშობენ და ამ სპექტაკლზე დავწერ-მეთქი.

1993 წლის 23 ივლისს „ახალი თაობის“ პირველი ნომერი გამოვიდა და სპექტაკლ „ლაბირინთზე“ დაწერილი ჩემი რეცენზიაც გამოქვეყნდა. „ლაბირინთიდან“ დაიწყო ჟურნალისტიკის ლაბირინთებში ჩემი თვრამეტწლიანი მოგზაურობა სოსოს გიდობით, დახმარებით, სწავლებით, კრიტიკით, იუმორითა და გვერდში დგომით.

სოსოსთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჟურნალისტის დიპლომი ხელში რომ არ გეჭირა. მოვლენების შეფასება და წერა უნდა იცოდე, ეს არის მნიშვნელოვანიო, თან მოვლენების ობიექტურ შეფასებასა და გაწონასწორებული პოზიციით წერას ისე გასწავლიდა, რომ იმ წამს ვერც ხვდებოდი, რომ სწავლის პროცესში იყავი. ეს პროცესი კი დაუსრულებლად გრძელდებოდა და რედაქტორ-მასწავლებელი სოსოც არ იღლებოდა...



მარცხნიდან: გიორგი უძილაური, ნანა ფრიდონაშვილი, სოსო გოგინაშვილი

მაშინაც და ახლაც მეამაყებოდა და მეამაყება, „ახალი თაობის“ ერთ-ერთი პირველი თაობელი რომ ვარ.

სოსოს თვისებების, საქმისადმი განუზომელი სიყვარულის, პასუხისმგებლობის, მისი ღირსების, ბოლომდე პიროვნებად დარჩენის დამსახურებაა, რომ „ახალი თაობა“ „არავისისტია“ დღესაც.

სოსოს დამსახურებაა, რომ იმ დროს, როდესაც ჩემი უამრავი მეგობარი დაუსაქმებლობის გამო ღრმა დეპრესიაში იყო, მე და „ახალი თაობელები“ თავისუფლებით, მუდმივი დაკავებულობითა და საქმისადმი სიყვარულით ვტკბებოდით.

სოსოს დამსახურებაა და მისი მადლობელი ვარ, რომ თეატრის გარდა სხვა, ახალი პროფესიისადმი ინტერესი გამიჩინა.

ერთ დღეს ისე მოხდა, რომ რედაქციაში სოსო, მბეჭდავები და დამკაბადონებლები დარჩნენ. ჟურნალისტებიდან რატომღაც მხოლოდ მე შემოვრჩი რედაქციას. ალბათ, ერთ-ერთ სპექტაკლზე რეცენზია მივიტანე. ამ დროს ფანჯარასთან (პირველ სართულზე იყო ჩვენი რედაქციის მხოლოდ ერთი დიდი ოთახი) ხანშიშესული ქალბატონი ყვირილით მოვარდა – კოლმეურნეობის ბაზარში „მხედრიონელებმა“ საზამთროს გამყიდველი დაჭრეს და თქვენ აქ მშვიდად სხედხართო. სოსომ მიიხედა, მოიხედა და არცერთი ჟურნალისტი არ არის. ხელში შევრჩი მე, თეატრის გარდა არაფერი რომ არ ვიცი. უნდა წახვიდე კოლმეურნეობის ბაზარში და რეპორტაჟი მომიმზადოო, მოკლედ და იმდენად კატეგორიულად მითხრა, შეპასუხებაც რომ ვერ მოვიფიქრე. რა თქმა უნდა, დეტალურად ამიხსნა, როგორ, ვისთან, რა შეკითხვები უნდა დამესვა, მაქსიმალური ინფორმაცია რომ შემეკრიბა და სოსომდე მიმეტანა. წავედი. სულ ცოტა მანძილი მქონდა გავლილი, ერთ-ერთი ჩვენი თანამშრომელი დამეწია, სოსომ გამომიშვა, რომ დაგიცვა, რამე არ შეგემთხვესო. ერთი კოპებშეკრულმა გავხედე, რა უნდა მეთქვა, სოსოსთან უკან ველარ მივბრუნდებოდი. მერე, მთელი ჩვენი ურთიერთობის განმავლობაში სულ იმას ვაძახებდი სოსოს: არასდროს გაპატიებ, ეს ბიჭი, ჩემ დასაცავად რომ გამოუშვი, ჩემი დასაცავი აქეთ რომ გახდა-მეთქი. მე ხომ სიმაღლით მეტრი და ოცი ვარ და მაშინ საკმაოდ გამხდარიც ვიყავი. ეს ბიჭი კი, სულო ცოდვილო, ჩემზე კიდევ უფრო დაბალი და გამხდარი იყო. ყოველთვის ხალისობდა სოსო, ამას რომ ვეუბნებოდი და გულიანად იცინოდა. სიცილი მართლაც რომ გულიანი ჰქონდა...

მოკლედ, ის რეპორტაჟი გავაკეთე. მოეწონა. მერე ისევ კრიმინალთან დაკავშირებული მასალის მომზადება დამავალა. ისევ მოეწონა და სულ მალე, თეატრთან ერთად, „კრიმინალურ სამყაროსთანაც დამაკავშირა“.

სოსო და „ახალი თაობა“ იყო პირველი, სასამართლოს დარბაზიდან რეპორტაჟების გამოქვეყნება რომ დაიწყო. ჩემდა საამაყოდ, მეც პირველი ვიყავი, ვისაც სოსომ ამ დავალების შესრულება ანდო. ამ ნდობისთვისაც დიდი მადლობა სოსოს! არაფერი ზედმეტი არ დაწერო, შენი პოზიციის გამოხატვისგან თავი შეიკავე, მხოლოდ სასამართლო სხდომის პროცესის მონაწილეების ტექსტები ჩაიწერეო – ასე მასწავლა სოსომ სასამართლო სხდომის ობიექტური რეპორტაჟების მომზადება.

თეატრი და კრიმინალი გახდა გაზეთში ჩემი სფერო. ცოცხალი პროკურორი მამის ხელში, ახალგაზრდული ამპარტავნობის გამო ცხონებული მამაჩემისთვის არაფერი რომ არ მეკითხა და თან ისე დამეწერა, რომ პროფესიონალებს არასწორი ტერმინოლოგიის გამო ჩემი სტატია მასხრად არ აეგდოთ, უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე. სოსომ, რა თქმა უნდა, შემაქო.

მადლობა, სოსო, რომ დღეს ადვოკატი ვარ და ჩემი ნაწილის, ჩემი ნუკრის გარდაცვალების შემდეგ დაცემული, გაუბედურებული, სასოწარკვეთილი და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული, წამოვდექი და ფეხზე დავდექი!

სოსო, იმქვეყნიურ საქართველოში ჩემთვის გვერდში დგომისთვის მამაჩემიც და ჩემი ნუკრიც აუცილებლად მადლობას გადაგიხდიან!

სოსო, „ახალი თაობელების“ მადლიერებით სავსეს, ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროს. მშვიდად განისვენე, სადაც მართალნი განისვენებენ. მუდამ მოგვენატრები და მუდამ მადლიერები ვიქნებით შენი.

აღარ გვყავს სოსო. წავიდა...

**ნანა ფრიდონაშვილი**

## ფოტიგა თბილისშია — რა მისიით ჩამოვიდა ევროპარლამენტარი



ევროპარლამენტარი ანა ფოტიგა თბილისშია. ამის შესახებ ევროპარლამენტარმა სოციალურ ქსელში დაწერა.

ფოტიგას თქმით, საქართველოში ვიზიტის მიზანი რუსული აგრესიის დამარცხების გზების განხილვაა.

პოლონელი პოლიტიკოსი თბილისში პოლონეთის გარდაცვლილი პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის მემორიალს ეწვია და კაჩინსკის ხსოვნას პატივი მიაგო.

– მოხარული ვარ თბილისში ყოფნით რუსული აგრესიის დამარცხების გზების განსახილველად. უკრაინის გამარჯვება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ საქართველოსთვის, პოლონეთისა და მთელი თავისუფალი სამყაროსთვის. საქართველოში ყოველ ვიზიტს ვიწყებ პოლონეთის გარდაცვლილი პრეზიდენტის, საქართველოს დიდი მეგობრის პატივის მიგებით, რომელსაც ძალიან კარგად ესმოდა რუსული საფრთხეები, – აცხადებს ფოტიგა.

## ნაფეტვრებსა და წყნეთში ხანძარი ლიკვიდირებულია, ხოლო წავკისში — ლოკალიზებული



ნაფეტვრებში ხანძარი ლიკვიდირებულია, ხოლო წავკისში – ლოკალიზებული. ამის შესახებ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

თბილისის შემოგარენში ცეცხლის რამდენიმე კერა იყო. ამ დროისთვის წყნეთსა და ნაფეტვრებში ხანძარი ლიკვიდირებულია, წავკისში კი სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

## „არ დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი ისევ აქ არის“

ევროპელი და ამერიკელი დიპლომატები სოფელ ოძისში საოკუპაციო ხაზთან ჩავიდნენ.

დიპლომატებმა პარალელი უკრაინის ომთან გაავლეს და კიდევ ერთხელ გამოხატეს მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ.

მაღალი რანგის უცხოელმა პოლიტიკოსებმა საქართველოს ევროინტეგრაციასა და „ქართული ოცნების“ მხრიდან გადასადგმელ აუცილებელ ნაბიჯებზეც ისაუბრეს.

– ძალიან მნიშვნელოვანია აქ ჩამოსვლა და ხალხისთვის შეხსენება, რომ ოკუპაცია ჯერ კიდევ გრძელდება და ბორდერიზაციაც მიმდინარეობს. ახლა მსოფლიოს ყურადღება უკრაინაზეა გადატანილი, მაგრამ რუსეთის იმპერიალისტური ომები იქ არ დაწყებულა. ეს საქართველოში დაიწყო, ასევე მოლდოვაში. ეს ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი ისევ აქ არის.

პირველი პრობლემა, რომელზეც ევროკომისიამ გაამახვილა ყურადღება, ეს არის პოლარიზაცია და ეს ნიშნავს, რომ მთავრობამ და ოპოზიციამ ერთად უნდა იმუშაონ ეროვნული მიზნის მისაღწევად, რაც არის ამ ქვეყნის გაწევრიანება ევროკავშირში რაც შეიძლება მალე, ასევე NATO-ში. როგორც ჩვენ ვიხილეთ ფინეთისა და შვედეთის მაგალითით, არ არსებობს უსაფრთხოება და კეთილდღეობა ევროპაში, თუ არა ხარ ევროკავშირსა და №ით -ში. ამიტომ ეს უნდა იყოს ყველას მიზანი ამ ქვეყანაში, – თქვა კურტ უოლკერმა.

საოკუპაციო ხაზთან იმყოფებოდა უკრაინის ანტიკორუფციული ორგანიზაციის წევრი, დარია კალენიუკიც. მან 2008 წლის აგვისტოს ომზეც ისაუბრა და თქვა, რომ მაშინ დასავლეთის სუსტმა რეაქციამ რუსეთის შემდგომი ქმედებები წაახალისა. კალენიუკმა ქართველ ხალხსა და უკრაინაში ქართველ მებრძოლებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.



– მოხარული ვარ, რომ აქ ჩამოვედი საოკუპაციო ხაზთან. რაც რუსეთმა საქართველოში ჩაიდინა იყო იმის რეპეტიცია, რასაც ახლა ჩადის უკრაინაში. მაშინ დასავლეთმა რუსეთს სუსტი პასუხი გასცა, რამაც პუტინი წაახალისა, იგივე ქმედებები განეხორციელებინა სხვაგან. ახლა ის გენოციდს ჩადის უკრაინაში, თუმცა ჩვენთან ხალხი დარწმუნებულია, რომ ამ ომს მოვიგებთ და ყველა მადლიერია იმ ქართველების, რომლებიც იქ იბრძვიან. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ გესმით, ეს ომი თქვენი ომიც არის, – თქვა დარია კალენიუკმა.

უცხოელი დიპლომატები საქართველოში საერთაშორისო კონფერენცია „დიდება უკრაინას“ ფარგლებში იმყოფებიან. ღონისძიებამდე ისინი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებს შეხვდნენ. როგორც ევროპარლამენტარმა ანა ფოტიგამ განაცხადა, შეხვედრები იგეგმება სხვა პოლიტიკოსებთანაც.

ქართული ელიტის წარმომადგენლებს შევხვდები, ვისაუბრებთ ყველაფერზე, რაც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის – ფოტიგა

რაც შეეხება ღონისძიებას, ის საქართველოში 5-6 სექტემბერს გაიმართება. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის, დისკუსია ისეთ თემებზე, როგორიცაა ომის შედეგები ევროპაზე, ასევე რუსული აგრესიის შედეგები გეოპოლიტიკური თვალსაზრისით.

# „ასეთი გაშეშებული ოპოზიცია საქართველოს არ ჰყოლია“

## გიგა ბუკია: „30 წელიწადია, ან დესტაბილიზაცია ხდება, ან რყევების მოლოდინში ვართ“

მარიამ მჭედლიშვილი

**რა პროცესები მიმდინარეობს საქართველოში? დამთავრდება თუ არა ანტიდასავლური რიტორიკა? რა მდგომარეობაშია დღეს ოპოზიცია, რომელსაც რადიკალურს უწოდებენ? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს გიგა ბუკიას.**



***– ორიოდე დღის წინ პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ყოფილი თანაგუნდელების, ანუ ოთხეულის მხრიდან დასავლეთის კრიტიკის შემდგომი გაღრმავება არ შედის ქვეყნის ინტერესებში. პროდასავლური განცხადებები სხვებმაც გააკეთეს. გაგვიჩნდა განცდა, რომ ამით უმრავლესობიდან გამოსული კვარტეტის ანტიდასავლური რიტორიკა შეჩერდებოდა. ოთხეულის წევრი ხუნდაძე აცხადებს, რომ ოთხეული თავის საქმიანობას კი არ ამთავრებს, ახლა იწყებს. რას იტყვით ამ ყველაფერზე?***

– დავიწყებ იმით, რომ ამ ოთხეულის აქტიურობა იყო და არის „ქართული ოცნების“ ტაქტიკა. აქ, რასაკვირველია, არავინ არავის უპირისპირდება. უმრავლესობაში ამგვარი „აჯანყებები“ და „აზრთა სხვადასხვაობა“ ადრეც გვინახავს და გამოგვიცდია.

***– არც სხვებს ჰგონიათ, რომ უმრავლესობიდან გამოსულები „ქართულ ოცნებას“ აუმხედრდნენ.***

– გავიხსენოთ „აჯანყება“ უმრავლესობაში პროპორციული სისტემის გამო. „ქართული ოცნება“ ყველას გასაგონად იძლეოდა პირობას, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს ჩაატარებდა პარტიული, ანუ პროპორციული წესით. მერე „გამოხტნენ მეამბოხეები“ და საკონსტიტუციო ცვლილება და დაპირება მმართველმა პარტიამ ქარს გაატანა. პროპორციული არჩევნების წინააღმდეგ გამოვიდნენ ის დეპუტატები, რომლებიც მანამდე ამ პროექტის ინიციატორები იყვნენ. კონსერვატორებმა ამის გამო დავტოვეთ მრავალპარტიული უმრავლესობა. პრემიერს აკისრია პასუხისმგებლობა ხელისუფლების, უმრავლესობის გადაწყვეტილების, განცხადებების გამო. თუ რამის თქმა უნდათ, ამას ამბობენ „აჯანყებულები“. ჯოკერის მსგავსად აქვთ რაღაცები შენახული.

***– ახლა რა ამოცანები ამოძრავებთ?***

– საქართველოს ხელისუფლება ორმაგ თამაშს თამაშობს. ეს ანტიდასავლური, ანტიამერიკული კამპანია არ არის. ჩემი აზრით, ალაგებენ ურთიერთობას აშშ-ის სხვადასხვა ძალასთან. ახლა ხელისუფლებაში არიან დემოკრატები, ანუ ლიბერალები. „ოცნებას“ ურთიერთობის აწყობა სურს რესპუბლიკელებთანაც, ანუ კონსერვატორებთან.

**„საქართველოში არასწორი აზრი დამკვიდრდა სახალხო დამცველის მოვალეობებზე. ამის გამო ხალხს ომბუდსმენის კანდიდატურა და მისი შერჩევა არ აინტერესებს“**

***– ოთხეულის განცხადება, არ გავჩერდებითო, რას უნდა მოასწავებდეს?***

– რომ ეთქვათ, ღარიბაშვილის განცხადების შემდეგ ხმას აღარ ამოვიღებთო, ძალიან უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. მაშინ გამოვიდოდა პროცესის ხელოვნურად გაჩერება. მშვენივრად ვიცით, რომ „ქართული ოცნების“ უმრავლესობიდან გამოსული დეპუტატები საკუთარ აზრებს არ ავრცელებენ. ეს ის ხალხი არ არის, აშშ-ის ელჩს რომ თავისით დაუპირისპირდეს. როცა დასჭირდება ხელისუფლებას, მაშინ ამოიღებენ ხმას. „ოცნება“ ორნაირ თამაშს თამაშობს – თაფლაკვერისა და მათრახის პოლიტიკას ეწევა.

***– აშშ-ის მიმართ მათრახის პოლიტიკა მეტისმეტად გამომწვევი და დამანგრეველი ხომ არ არის, განსაკუთრებით, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ?***

– ეს არ არის ანტიამერიკული, ანტიდასავლური კამპანია და პოლიტიკა. ოთხეულის მწარე სიტყვები მიმართული იყო აშშ-ის ელჩის, საელჩოს თანამშრომლების წინააღმდეგ.

***– ოპოზიცია ყოველწლიურად თუ არა, ორ წელიწადში ერთხელ ტრადიციულად აანონსებს „ცხელ შემოდგომას“. ახლაც გაისმის მსგავსი დაპირებები ოპოზიციისგან, რომელსაც რადიკალურს უწოდებენ.***

– ხელისუფლებამ მოახერხა ოპოზიციის დადუმება და გაშეშება. ასეთი გაშეშებული ოპოზიცია საქართველოს არ ჰყოლია. ეს ნამდვილად არ არის კარგი ქვეყნის განვითარებისთვის. ყველა ხელისუფლებას უნდა ჰყავდეს ოპოზიცია, რომელიც არ დაუშვებს, რომ მან ჩაიდინოს სისაძაგლეები. იმაზე, რაც ხდება, ხელისუფლების გარდა, პასუხისმგებელია ოპოზიციაც.

***– ამ ოპოზიციამ შეცდომები დაუშვა?***

– სერიოზული შეცდომები. არჩევნები რომ დამთავრდა, უარს ამბობდნენ პარლამენტში შესვლაზე. შემდეგ შევიდნენ, მაგრამ ხალხის ინტერესებს არ ატარებენ. პარლამენტში ხან რას უცხადებენ ბოიკოტს, ხან – რას. ამ ოპოზიციამ უარი თქვა თავის მაკონტროლებელ ფუნქციაზე. ამან გამოიწვია ოპოზიციის მომხრეების უკმაყოფილება. ხალხს არ მოსწონს ასევე არათანმიმდევრულობა და კვირაში შვიდი პარასკევი. საბოლოოდ, გამოვიდა, რომ ამ ოპოზიციას არ აქვს ნდობა არც მოსახლეობაში, არც ქვეყნის გარეთ. ოპოზიციის ასეთი მდგომარეობა კარგი არ არის ქვეყნისათვის. ცარიელი ადგილი სულ ცარიელი ვერ იქნება.

***– იქნებ სიცარიელე უკეთესმა ოპოზიციამ შეავსოს?***

– რყევებია მოსალოდნელი, დესტაბილიზაციის საფრთხეა, თორემ სხვა ძალის (ძალების) გააქტიურება ცუდი არ იქნებოდა. ხალხი მოუთმენლად ელის სხვების აქტიურობას. 30 წელიწადია, ან დესტაბილიზაცია ხდება, ან რყევების მოლოდინში ვართ. ამჟამად აფეთქების მუხტი არ იგრძნობა, მაგრამ უკმაყოფილება და ბრაზი გროვდება და არ ვიცით, როდის იჩენს თავს.

***– კონსტრუქციულად, მშვიდობიანად და არაძალადობრივად რომ განვითარდეს მოვლენები? ხომ შეიძლება, დასაწყისისთვის სხვებმაც იაქტიურონ სხვადასხვა საკითხზე, მაგალითად, ევროკომისიის 12 პუნქტზე, რომელიც საქართველოს შესასრულებელი აქვს?***

– სხვა ძალებზე თუ მეკითხებით, პოლარიზებულ გარემოში სხვებს აქტიურობა შეზღუდული გვაქვს. არსებობს პოლარიზებული პოლიტიკური ძალები საკუთარი ტელეარხებით. სამწუხაროდ, არასამთავრობო ორგანიზაციები, იმის მაგივრად, რომ ეფექტურად ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციებს, ჩართული არიან პოლიტიკაში და მხარეს წარმოადგენენ. ჩვენ არ გვაქვს საპარლამენტო, სატელევიზიო ტრიბუნა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე არ ვმსჯელობთ და გარკვეულ კონსულტაციებს არ ვმართავთ.

***– არასამთავრობო ორგანიზაციებს რომ „ოცნება“ 12 რეკომენდაციის შესასრულებლად შექმნილ სამუშაო ჯგუფებში არ უშვებს, ეს რას ნიშნავს?***

– ეს ორგანიზაციები თვითონ აძლევენ „ოცნებას“ საბაბს, რომ ისინი აკრიტიკოს და ზოგიერთ პროცესზე არ დაუშვას. არასამთავრობო ორგანიზაციები არ უნდა ჰგავდნენ პოლიტიკურ პარტიებს. ისინი არ უნდა იყვნენ პოლიტიკური მხარე. ქუჩის აქციებზე არასამთავრობო ორგანიზაციები არ უნდა მოითხოვდნენ მთავრობის გადადგომას. საქართველოში ზოგიერთი აქტიური არასამთავრობო ორგანიზაცია გადაქცეულია პოლიტიკურ მხარედ, ძლიერ ინსტიტუტებს კი უტევენ. მაგალითად, შეტევები მიმდინარეობს ეკლესიაზე. ეს ყველაფერი აძლიერებს ხალხის უნდობლობასა და უიმედობას.

***– არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ასეთი დამოკიდებულება ხომ არ გააძნელებს სახალხო დამცველის კანდიდატურის შერჩევა-დამტკიცებას?***

– საქართველოში არასწორი აზრი დამკვიდრდა სახალხო დამცველის მოვალეობებზე, ამ ინსტიტუტზე. ჰგონიათ, რომ სახალხო დამცველმა და მისმა აპარატმა უნდა დაიცვან უმცირესობები, განსაკუთრებით, სექსუალური უმცირესობები. ომბუდსმენები, ფაქტობრივად, მარტო ამით არიან დაკავებული. „სახალხო“ იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანი, ეს ინსტიტუტი, აბსოლუტურად ყველას უფლებებს უნდა იცავდეს. ხალხი უნდობლად უყურებს ამ ინსტიტუტს, რომელიც ერთ ჯგუფზე ზრუნავს. ამის გამო ხალხს ომბუდსმენის შერჩევა და კანდიდატურა არ აინტერესებს. მე თუ მკითხავთ, სახალხო დამცველზე უფრო მნიშვნელოვანია მთავარი პროკურორის არჩევა. 12-პუნქტიან გეგმაში ეს საკითხიც შედის. იმ ოპოზიციას, რომელზეც ვსაუბრობდით, სახალხო დამცველის თემა, ასევე ლგბტ-თემატიკა უფრო ბევრად აღელვებს, ვიდრე მთავარი პროკურორი. მმართველი პარტია ამბობს, რომ პროკურორს იმ წესით დაამტკიცებენ, რომელიც „მიშელის დოკუმენტში“ ჩაიწერა. თუ ასე მოხდა, კარგი იქნება.

# პუტინი წააგებს ომს, უკრაინა აღადგენს იურისდიქციას ტერიტორიებზე, იგივე მოხდება საქართველოშიც



ატლანტიკური საბჭოს ევრაზიის ცენტრის დირექტორ ჯონ ჰერბსტის თქმით, მნიშვნელოვანია, დასავლეთში ხალხმა კარგად გაიაზროს, რა გააკეთა რუსეთმა საქართველოში 2008 წელს და რას აკეთებს ის ახლა უკრაინაში.

ჰერბსტმა განცხადება სოფელ ოძისში საოკუპაციო ხაზთან ვიზიტისას გააკეთა.

ის ფიქრობს, რომ რუსეთი უკრაინაში ომს წააგებს და ქვეყანა აღადგენს იურისდიქციას თავის ტერიტორიებზე.

– მე უკვე ხუთჯერ ვიყავი ამ ქვეყანაში ბოლო 10 წლის განმავლობაში. ეს მნიშვნელოვანია, როგორც უსაფრთხოების მხრივ, ასევე სიმბოლურად. ძალიან მნიშვნელოვანია, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ზოგადად დასავლეთში ხალხმა გაიაზროს, თუ რა გააკეთა რუსეთმა საქართველოში 2008 წელს და არა მხოლოდ 2008 წელს.

რუსეთის ქმედებების შესახებ უკვე ყველამ კარგად იცის. საქართველოში, მოლდოვაში და ახლა უკვე უკრაინაში განხორციელებული აგრესიით მოსკოვი ნატოს ქვეყნებს ემუქრება. ამიტომ აშშ-ს აქვს ინტერესი, რომ გამოასწოროს სიტუაცია აქ და გამოასწოროს სიუაცია უკრაინაში. ჩემი მოლოდინია, რომ პუტინი წააგებს ამ ომს, უკრაინა აღადგენს იურისდიქციას თავის ტერიტორიებზე, რომლებსაც ახლა მოსკოვი აკონტროლებს და შემდეგ იგივე მოხდება აქ, – თქვა ჯონ ჰერბსტმა.

# 6 სექტემბერს პარლამენტის საშემოდგომო სესია გაიხსნება



6 სექტემბერს პარლამენტის საშემოდგომო სესია გაიხსნება. საშემოდგომო სესიის ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ის საკანონმდებლო ინიციატივებია, რომელთა მიღებაც ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესასრულებლად იგეგმება.

ამავე პერიოდში პარლამენტს რამდენიმე საკადრო გადაწყვეტილების მიღება მოუწევს – კვლავ ასარჩევია ცესკოს თავმჯდომარე და ცესკოს პროფესიული წევრები, ასევე ახალი სახალხო დამცველი.

გარდა ამისა, საშემოდგომო სესიაზე მმართველი გუნდი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების ინიციატივით გამოდის და პარლამენტს გენერალური პროკურორის 90-ხმიანი კვორუმით არჩევას სთავაზობს. კონსტიტუციურ კანონში შესატანი ცვლილებები პარლამენტის ბიუროს 5 სექტემბრის სხდომაზე წარედგინება.

# კიდევ ერთი რუსული გემი, ტანკერი „PLANEO“ ბათუმის პორტში



რუსული დროშის ქვეშ მცურავი კიდევ ერთი გემი ბათუმში – მას, სავარაუდოდ, რუსული სანქცირებული ტვირთი გადააქვს და ჩვენს ქვეყანაში, წინა შემთხვევების მსგავსად, ტვირთის წარმომავლობის შეცვლასა და საბუთების გაყალბებას ცდილობენ. ამასთან დაკავშირებით ეჭვები აქვთ ანტიკორუფციულ მოძრაობაში.

საუბარია რუსულ ტანკერ „PLANEO-ზე“, რომელიც 2 საათზე მეტია, იმყოფება პორტში.

გემის ოფიციალური აღწერის მიხედვით, გემი ნამდვილად რუსულია და ის საქართველოს კონტროლირებად წყლებში, სავარაუდოდ, კვიპროსიდან შემოვიდა. ამავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ მას, დიდი ალბათობით, ნავთობი გადააქვს და ის კომპანია „ტერომ“ შემოიყვანა. ცნობილია, რომ „PLANEO-ს“ ძირითადი პორტია სანკტ-პეტერბურგი და ძირითადად მარშრუტებს კვიპროსიდან ასრულებს.

ანტიკორუფციულ მოძრაობაში ამბობენ, რომ საქმე უნდა ეხებოდეს სქემას, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება მას შემდეგ იყენებს, რაც უკრაინაში ომის შემდეგ რუსულ ტვირთებს სანქციები დაედო. მათი თქმით, იკვეთება ხელისუფლების ინტერესები, ვინაიდან შეუძლებელია ტანკერი საქართველოს კონტროლირებად წყლებში ისე შემოდიოდეს, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდეთ.

– ხელისუფლებამ ყოველდღიურობად აქცია ბათუმის პორტში რუსული სანქცირებული ტვირთის შემოსვლა. ამჯერად ბათუმის პორტში შემოსულია რუსული დროშის ქვეშ მცურავი გემი, სადაც განთავსებულია სანქცირებული ნავთობი. დიდი ალბათობით, მოხდება სანქცირებულ ნავთობზე სერტიფიკატის გაყალბება და უკვე აღნიშნული ტვირთი ექსპორტზე გავა, როგორც არასანქცირებული ტვირთი. ამით გასქელდება ბიძინა ივანიშვილისა და უჩა მამაცაშვილის ჯიბეები, – ამბობს ლაშა ხოზრევანიძე.

აღსანიშნავია, რომ რუსული დროშის ქვეშ მცურავი ტანკერი საქართველოში 3 კვირის წინაც შემოვიდა და მაშინაც ამ ყველაფრის უკან იდგა კომპანია „ტერო“.

## პროკურატურამ სოფელ გავაზში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალი წარუდგინა



საქართველოს პროკურატურამ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზში მომხდარ განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. ინფორმაციას ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 31 აგვისტოს, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ბრალდებულმა თანასოფლელს დანით ჭრილობა მიაყენა. მიყენებული დაზიანების შედეგად დაზარალებული საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა.

## საგამოძიებო სამსახურმა უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ფაქტზე გამოძიება დაიწყო




საგამოძიებო სამსახურმა უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

– 2022 წლის 3 სექტემბერს, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მყისიერად დაიწყო გამოძიება ერთ-ერთი სასწავლო დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი ავტორიზაციის გარეშე უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სსკ 192-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიების მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოხდება საზოგადოების ინფორმირება, – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## პოლიციამ აჭარასა და შიდა ქართლში ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა აჭარასა და შიდა ქართლში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, უკანონო საბრძოლო მასალა ამოიღეს, 2 პირი დააკავეს, 1 პირი კი ამხილეს.

როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ტ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო დამზადების და შეძენა-შენახვისა ბრალდებით დააკავეს.

– სამართალდამცველებმა ბათუმში, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა. ასევე ამოღებულია ნ.ტ.-ის მიერ კუსტარულად გადაკეთებული იარაღები.

დანაშაულები 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულ, 1970 წელს დაბადებულ ჯ.ღ.-ს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის, ასევე, მარიხუანის უკანონო შეძენა-შენახვა და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო კულტივირება ედება ბრალად.

სამართალდამცველებმა ქარელის მუნიციპალიტეტში, ჯ.ღ.-ის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს კალაშნიკოვის კონსტრუქციის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 215 ვაზნა. ჩხრეკისას ასევე ამოღებულია დიდი ოდენობით გამომშრალი მარიხუანა და 49 ძირი კანაფი.

ამავე დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1950 წელს დაბადებული ვ.მ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე ამხილეს. ვ.მ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია მაკაროვის სისტემის პისტოლეტი და 16 ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და დამზადების, აგრეთვე, მარიხუანის უკანონო შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო კულტივირების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილებით, 273-ე პრიმა მუხლითა და 265-ე მუხლით მიმდინარეობს, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ბოდბეში ქალის დაჭრის ბრალდებით ქმარი დააკავეს




ბოდბეში, სავარაუდოდ, ქმრის მიერ დაჭრილია 27 წლის მარიამ აბაზაძე. მას ცეცხლნასროლი ჭრილობა თავში აქვს მიყენებული და მძიმე მდგომარეობის გამო წნორის კლინიკიდან კატასტროფის ბრიგადამ თბილისში, ინგოროყვას სახელობის საავადმყოფოში გადაიყვანა. შემთხვევის ადგილზე კი სამართალდამცველები მუშაობენ. მათ ცხელ კვალზე დააკავეს დაჭრილის ქმარი, შმაგი ხუნაშვილი.

რა გახდა დაჭრის მიზეზი, უცნობია. ვრცელდება 2 ვერსია – ოჯახური კონფლიქტი ან უბედური შემთხვევა. ადგილობრივები არ გამორიცხავენ, რომ ქმარს იარაღი გაუვარდა.

გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ, განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე დაიწყო. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

## „ჯერ აწამა, სცემა, მერე ყელი გამოსჭრა“




თურქეთში ქმრის მიერ მოკლული ქალის დედა მკვლელობის დეტალებზე საუბრობს.

– ვიცი, რომ დაგეგმილი ჰქონდა და მოტყუებით წაიყვანა იქ ჩემი შვილი. 2 დღის გარდაცვლილი იყო ჩემი შვილი, როდესაც 25-ში დამირეკეს მისმა მშობლებმა, ავარიაში მოყვაო.

ავარიაში კი არა, მოკლული ჰყოლია და ნაწამები ჩემი შვილი და არაფერი ვიცოდი. ჯერ აწამა, ნაცემი არის, დალურჯებული ჰქონდა მთელი სხეული, სახიდან ფეხებამდე. სულ დაჩეხილი იყო, ყელი მოჭრილი ჰქონდა.

აწამა და საშინლად მომიკლა შვილი. ისე მოკლეს იქ ორივე, რომ სულ სხვანაირად გამოიტანეს პასუხი. ვითომ მეგობარი იყო და უღალატაო და თავი მაგიტომ მოაჭრაო. ეგრე არაფერი არ არის. მერე ალბათ დაგვირეკავენ თურქეთიდან და პასუხებს გვეტყვიან რა მოხდა, – აცხადებს მოკლული ქალის დედა ერთ-ერთ მედიასაშუალებასთან საუბრისას.

შეგახსენებთ, რომ თურქეთში საქართველოს მოქალაქემ ცოლი და კიდევ ერთი ქართველი მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

## 500 ლარით დაჯარიმდებით, თუ თქვენს ავტომობილს დამუქებული მინები აქვს




დამუქებული მინებისა ან შეზღუდული შუქგამტარობის მქონე სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის პასუხისმგებლობა მკაცრდება – სანქციის სახედ 500 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა შემოდის.

აღნიშნული ქმედების განმეორების შემთხვევაში, ჯარიმა 1.000 ლარამდე გაიზრდება, ხოლო ქმედების მესამე და ყოველი მომდევნო განმეორება, რომელიც ითვალისწინებდა 300 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდას, აღარ იქნება გათვალისწინებული და აღნიშნულისთვისაც სანქცია 1.000 ლარის ოდენობის ჯარიმა იქნება. ასევე, სანქცია წესდება მძღოლის მიერ სხვისი მართვის უფლებით სარგებლობის მიზნით პოლიციის უფლებამოსილი პირისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის, რომელიც გამოიწვევს დაჯარიმებას 700 ლარის ოდენობით. 250 ლარიდან 300 ლარამდე იზრდება ჯარიმა არარეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის.

– „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა.

## სიჩქარის გადაჭარბებაზე ჯარიმები იზრდება



სიჩქარის გადაჭარბებისთვის არსებული სანქციები მკაცრდება – მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის 40 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით გადაჭარბება 150 ლარის ნაცვლად 300 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს. ეს ერთ-ერთი სიახლეა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტის ფარგლებში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა.

მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტის ბიუროს საშემოდგომო სესიის პირველივე სხდომაზე წარედგინება.

პროექტის გათვალისწინებით, იზრდება სანქცია თუ სიჩქარის გადაჭარბებას საავარიო ვითარების შექმნა მოჰყვა, რაც პირის 300 ლარის ნაცვლად, 400 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს, ხოლო თუ სიჩქარის გადაჭარბებას სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, ასევე ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება მოჰყვა, ჯარიმა 500 ლარის ნაცვლად, 600 ლარი იქნება.

იზრდება სანქცია 125-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის. კერძოდ, სიჩქარის გადაჭარბება იმ პირის მიერ, რომელიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, საქალაქთაშორისო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ საერთაშორისო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს, გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, ნაცვლად 300 ლარისა.

გარდა ამისა, დასჯადი ხდება ავტომობილის განზრახ მოცურება-მოსრიალება ან მოცურებით წრიული ბრუნვის განხორციელება – ე.წ. დრიფტი.

– „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებებით, აღნიშნული ქმედება გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. ამასთან, თუ აღნიშნულ ქმედებას მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, ეს გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობა არ დადგება იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედება ჩადენილია კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისას.

## მამაკაცს საკუთარმა ტრაილერმა გადაუარა

უბედური შემთხვევა კასპის მუნიციპალიტეტში – შუახნის კაცი საკუთარმა ტრაილერმა იმსხვერპლა – ინფორმაციას mozaikanews ავრცელებს.

ადგილობრივების ცნობით, მძღოლს ტრაილერი დაუგორდა და გადაუარა. შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა.

როგორც „მთავარი არხის“ ვებგვერდს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

## კალეიდოსკოპი

### ანტილოპამ ზოოპარკის თანამშრომელი მოკლა

მსოფლიოში ყველაზე დიდმა ანტილოპამ რქენით იმსხვერპლა შვედეთის კუნძულ ელანდზე მდებარე ზოოპარკის ზედამხედველი.

ზოოპარკის თანამშრომელი იმ დროს დაიღუპა, როდესაც ანტილოპას მის სადგომში მიდენიდა. დაღუპულის კოლეგა რიჩარდ ბერგლუნდმა განაცხადა, რომ ყველაფერი მის თვალწინ მოხდა. პარკის დახურვის წინ ის მას ანტილოპა კანას მის სადგომში შერეკვაში ეხმარებოდა, რა დროსაც ცხოველმა მისი კოლეგა მოკლა.

– ის ჩემი მეგობარი იყო... ჩვენ ყველანი ვგლოვობთ მას, – განაცხადა დაღუპულის კოლეგამ.

ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მოხდა კონკრეტულად, არ ვრცელდება. პოლიციაში აღნიშნეს, რომ მამაკაცის დაღუპვა უბედურ შემთხვევად იქნა კვალიფიცირებული. უცნობია თუ რა გახდა ცხოველის ზოოპარკის თანამშრომელზე თავდასხმის მიზეზი. პარკის მფლობელმა დაწესებულების თანამშრომლის დაღუპვის ფაქტი დაადასტურა. ასევე, პარკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ის დაიხურა სეზონის დასრულებასთან დაკავშირებით.

### უზარმაზარმა ნიანგმა მამაკაცი მოკლა და მდინარეზე ჩამოატარა

მექსიკაში ხუთმეტრიანმა ნიანგმა მამაკაცი მოკლა და ყბებში მოქცეული მისი ცხედრით მდინარის ნაპირს ცურვით გაუყვა.

ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ჟურნალისტმა პორფირიო იბარამ ტამაულიპის შტატის ქალაქ ტამპიკოში გადაიღო. კადრებში ჩანს, როგორ მიცურავს ხიდის ქვეშ უზარმაზარი ნიანგი, რომელსაც ყბებში მამაკაცის უსულო სხეული აქვს მოქცეული, ხიდზე კი ამ დროს რამდენიმე ადამიანი იმყოფება.

– სავარაუდოდ, მამაკაცმა მდინარეში ბანაობა მოისურვა და მას ნიანგი თავს დაესხა, – განაცხადა იბარამ, რომელიც ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის რედაქტორია და ასოშეიტედ პრესთან თანამშრომლობს. კიდევ ერთმა ჟურნალისტმა, ხორხე ბაკერილმა, რომელიც ასევე აღნიშნული შემთხვევის თვითმხილველი გახდა, განაცხადა, რომ მოგვიანებით ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაღუპული მამაკაცის ცხედარი იპოვეს, წყლიდან ამოიღეს, ხოლო ნიანგი დაიჭირეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# უკრაინელმა სამხედროებმა ხერსონის ოლქში მდებარე სოფელი ვისოკოპოლე გაათავისუფლეს



უკრაინელმა სამხედროებმა კონტრშეტევის შედეგად ხერსონის ოლქში მდებარე სოფელი ვისოკოპოლე გაათავისუფლეს. სამხედროებმა სოფელში მდებარე საავადმყოფოზე უკრაინის დროშა აღმართეს. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული საინფორმაციო სააგენტო „უნიანი" სამხედრო ჟურნალისტ ანდრეი ცაპლიენკოზე დაყრდნობით ავრცელებს. ასევე აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია „ტელეგრამ" არხებზე ვრცელდება.

# ოკუპანტებმა ენერგოდარში ჰუმანიტარული ტვირთი არ შეუშვეს



ოკუპანტებმა ენერგოდარში ჰუმანიტარული ტვირთი არ შეუშვეს. ამის შესახებ ენერგოდარის მერმა დიმიტრი ორლოვმა განაცხადა.

– ოკუპანტებმა ენერგოდარში ჩვენ მიერ ორგანიზებული ჰუმანიტარული ტვირთი არ შეუშვეს. ის ქალაქში გუშინ უნდა შემოსულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. დღევანდელმა განმეორებითმა მცდელობამ ხალხისთვის საჭირო ნივთების მისაწოდებლად უშედეგოდ ჩაიარა. რუსებმა, უბრალოდ, უკან გააბრუნეს სატვირთო მანქანები ჰუმანიტარული ტვირთით, – განაცხადა ორლოვმა.

მისი თქმით, მთავარი არგუმენტი, რომელიც დამპყრობელთა საგუშაგოზე გაისმა, იყო ის, რომ „ენერგოდარს არაფერი სჭირდება და ადგილობრივ მოსახლეობას ყველაფერი აქვს".

მერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შემდეგი ჰუმანიტარული ტვირთი მოიცავდა ადამიანებისთვის საჭირო ნივთებს: ჰიგიენურ საშუალებებს მრავალშვილიანი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, საკვებს სოციალურად დაუცველი კატეგორიის ოჯახებისთვის, ასევე იყო დიდი რაოდენობით მიზნობრივი ამანათები კონკრეტული მედიკამენტებით, რომელთა რეგულარული მიღება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გარკვეული დაავადებების მქონე ადამიანებისთვის.

– მაგრამ ოკუპანტებს ჰგონიათ, რომ მათ უკეთ იციან, რა სჭირდება ან რა არ სჭირდება ენერგოდარს. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ქალაქი მთელი ცივილიზებული სამყაროსგან გადაკეტონ, – აღნიშნა ორლოვმა.

# ოლენა ზელენსკა: „უკრაინის ომმა მძიმე დარტყმა მიაყენა მისი მოკავშირეების ეკონომიკას, მაგრამ, თუ დასავლელებს უწევთ ხურდების დათვლა გაზის გადასახადის გადასახდელად, უკრაინელები გარდაცვლილებსაც ითვლიან"




– უკრაინის ომმა მძიმე დარტყმა მიაყენა მისი მოკავშირეების ეკონომიკას, მაგრამ, თუ დასავლელებს უწევთ ხურდების დათვლა გაზის გადასახადის გადასახდელად, უკრაინელები გარდაცვლილებსაც ითვლიან, – ამის შესახებ უკრაინის პირველმა ლედიმ ოლენა ზელენსკამ BBC-სთან ინტერვიუში განაცხადა.

მან მოუწოდა დასავლეთს, გააგრძელოს უკრაინის მხარდაჭერა ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად და გამოთქვა იმედი, რომ მისი ქვეყნის ადამიანურ მსხვერპლს არ დაივიწყებენ.

– ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ევროპის ეკონომიკური კრიზისი არის არა მხარდაჭერის ბრალი, რომელსაც დასავლეთი უკრაინას აძლევს, არამედ რუსეთის ქმედებებით გამოწვეული, – აღნიშნა ზელენსკამ და დასძინა, რომ „თუ მხარდაჭერა ძლიერია, ეს პერიოდი უფრო ხანმოკლე იქნება".

ზელენსკას განცხადებით, ფასები იზრდება არა მხოლოდ მსოფლიოში, არამედ უკრაინაშიც და, ამასთან, იღუპებიან ადამიანებიც.

– როდესაც თქვენ ითვლით ხურდებს თქვენს საბანკო ანგარიშებზე ან ჯიბეებში, ჩვენც იმავეს ვაკეთებთ და, გარდა ამისა, ვითვლით ჩვენს დაღუპულებს, – დასძინა უკრაინის პირველმა ლედიმ.

ზელენსკამ ასევე აღნიშნა, რომ სხვა ქვეყნებიდან ხალხისთვის რთულია, სრულად გააცნობიერონ ომის გავლენა უკრაინის ცხოვრებაზე, ამიტომ, უბრალოდ, აუცილებელია იმ ადამიანების ისტორიების მოყოლა, რომლებიც ომს უშუალოდ განიცდიან.

# დონალდ ტრამპმა ჯო ბაიდენს „სახელმწიფოს მტერი" უწოდა




ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თეთრი სახლის ამჟამინდელ ლიდერს ჯო ბაიდენს „სახელმწიფოს მტერი" უწოდა. ტრამპმა აღნიშნული განცხადება პენსილვანიაში გამართულ მრავალათასიან აქციაზე გააკეთა.

ყოფილმა პრეზიდენტმა ბაიდენი დაადანაშაულა, რომ ის აშშ-ის გამოძიების ფედერალურ ბიუროს (FBI) მის წინააღმდეგ იარაღად იყენებს.

ტრამპმა FBI-ის აგენტების მიერ ფლორიდაში მისი სახლის ჩხრეკას „ამერიკის ისტორიაში ნებისმიერი ადმინისტრაციის მიერ ერთ-ერთი ყველაზე შოკისმომგვრელი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება" უწოდა.

ამასთან, ყოფილმა პრეზიდენტმა პენსილვანიაში მხარდამჭერებთან შეხვედრისას ყურადღება გაამახვილა 2020 წლის არჩევნებზე, რომელიც, მისი თქმით, მას მოჰპარეს.

გარდა ამისა, ტრამპი რამდენჯერმე მოწოდებით გამოვიდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ნარკოტიკებს ასაღებენ, სიკვდილით დაისაჯონ.

# რამზან კადიროვი: „უკვე 15 წელია, ვხელმძღვანელობ რესპუბლიკას. მგონია, რომ უკვე მოხუცი ვარ"



ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი აცხადებს, რომ თანამდებობაზე ყოფნა ძალიან დიდხანს მოუწია და „უვადო და ხანგრძლივი შვებულება" დაიმსახურა.

– უკვე 15 წელია, ვხელმძღვანელობ რესპუბლიკას. როგორც ჩანს, უკვე მოხუცი ვარ. ამიტომ, მგონია, რომ ჩემი დროც დადგა, სანამ გამაგდებდნენ. უკვე დავიწყე ამაზე ფიქრი და ვეცდები, დროულად წავიდე, – განაცხადა კადიროვმა „ტელეგრამზე" გავრცელებული ვიდეომიმართვისას.

მისი თქმით, მიაჩნია, რომ „უვადო და ხანგრძლივ შვებულებას" იმსახურებს.

„იმედი მაქვს, რომ მხარს დამიჭერთ და გამიგებთ", – დასძინა ჩეჩნეთის ლიდერმა.

# რუსეთში ევროკავშირის ელჩმა თანამდებობა დატოვა



რუსეთში ევროკავშირის ელჩმა მარკუს ედერერმა 1-ელ სექტემბერს თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ მან რუსულ მედიასთან საუბარში განაცხადა.

„თანამდებობას მშვიდად ვტოვებ. ვფიქრობ, რაც შემეძლო, გავაკეთე", – აღნიშნა დიპლომატმა.

მარკუს ედერერს გადაწყვეტილების მიზეზებზე არ უსაუბრია. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ ჩაანაცვლებს მას.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# საქართველომ თბილისში მეორე მატჩიც წააგო

**საქართველო-ესპანეთი 64:90**
**(16:18; 15:22; 16:31; 17:19)**



საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონსა და მიმდინარე ევრობასკეტზეც ტიტულის მაძიებელ ესპანეთთან წააგო. სადებიუტო მატჩში ბელგიასთან ბრძოლაში ბოლო წამებზე დამარცხებულმა საქართველომ მრისხანე მეტოქეს პირველ ნახევარში ებრძოლა, მაგრამ დიდი შესვენების შემდეგ ყველაფერი აირია.

ბელგიასთან ბრძოლაში გადაღლილ ილიას ზუროსის გუნდს დანაკლისიც ჰქონდა. გოგა ბითაძემ სასტარტო ხუთეულში თამაში კი დაიწყო, მაგრამ 6 წუთში მოედანი დატოვა და აღარ დაბრუნებულა – წინა შეხვედრაში ნატკენმა ფეხმა შეაწუხა. მწვრთნელებმა ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ ბითაძის დასვენება გადაწყვიტეს. აღსანიშნავია, რომ შენგელია ამ შეხვედრაში ნაკრებთან იყო. ის იტალიიდან კარგი ამბით დაბრუნდა: მხარის მკურნალობას ქირურგიული ჩარევა არ დასჭირდება. მისი რეაბილიტაცია დაახლოებით 2 თვე გაგრძელდება.

შენგელიასთან ერთად ბითაძის არყოფნაც დიდი დანაკლისია და მით უფრო, ესპანეთთან. სერჯიო სკარიოლოს გაწვრთნილმა ესპანელებმა მე-3 პერიოდში აიწყვიტეს, ათწუთეული 31:16 მოიგეს და დასკვნითი პერიოდის წინ 24 ქულით გალიდერდნენ. ეს უკვე ესპანელთა გამარჯვებას ნიშნავდა და შეხვედრაც ისე ჩამთავრდა, მოედანზე დაძაბულობა არ შექმნილა. ქართველებმა ბოლო პერიოდში ფიქრი უკვე მომავალ თამაშებზე დაიწყეს, რომელთაგან მინიმუმ 2 მოსაგებია, ჯგუფის საუკეთესო 4 გუნდში, შესაბამისად, ფლეიოფში რომ მოვხვდეთ.

მატჩი საბოლოოდ საქართველომ 64:90 დათმო. ჩვენს გუნდში ბომბარდირი 13 ქულით რატი ანდრონიკაშვილი გახდა, ხოლო სარგებლიანობით საუკეთესო შედეგი სანდრო მამუკელაშვილმა აჩვენა – 10 ქულა, 9 მოხსნა და 3 პასი. 10 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი დაგროვდა გიორგი შერმადინის ანგარიშზე.

საქართველოს ნაკრები შემდეგ მატჩს თურქეთთან გამართავს. მე-2 ტურში თურქებს ბულგარეთი 3 პერიოდი უძალიანდებოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც წააგო – 87:101. ჩვენი ჯგუფის მე-3 შეხვედრაში ჩერნოგორიამ 76:70 ბელგია დაამარცხა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუკი ბელგიელები და მონტენეგროელები ესპანეთს არ მოუგებენ, საქართველოს ნაკრებს ჯგუფიდან გასასვლელად ბულგარეთთან და მონტენეგროსთან მინიმალური გამარჯვებაც ეყოფა.

**ილიას ზუროსი:**

– ბოდიშს ვუხდი ხალხს ჩვენი თამაშისთვის. საშინელი მატჩი იყო, საერთოდ ვერ ვიბრძოლეთ. ხალხისა და ქვეყნის წინაშე ცუდად ვითამაშეთ. მართალია, ლიდერი და გუნდის კაპიტანი დავკარგეთ, გოგა ბითაძემ თამაში კი ცადა, მაგრამ ტრავმამ შეაწუხა. თუმცა, ბრძოლის გარეშე წაგება პრობლემაა. ერთი კალათბურთელის გამოკლებაც კი ტაქტიკას პრობლემას უქმნის. არ მომწონს, როცა საქართველოს ნაკრები არ იბრძვის. ჩვენ შეიძლება 20 ქულით წავაგოთ, მაგრამ მებრძოლი სული არ უნდა დაკარგო და პარკეტზე უნდა მოკვდე.

თუ მომდევნო ეტაპზე გასვლა გვინდა, უნდა ვიბრძოლოთ. ეს დაცვა არ იყო, დაცვა არ გვითამაშია. მადლობა ხალხს! ბოლომდე გვქომაგობდნენ და გუნდს უმღეროდნენ. იმედი მაქვს, ჩვენი მოთამაშეები მალე მიხვდებიან, რომ ბრძოლის გარეშე ვერაფერს მიაღწევ, არამარტო კალათბურთში, არამედ ცხოვრებაშიც.

თურქეთი ერთ-ერთი ფავორიტია ჯგუფში, მათ კარგი მწვრთნელი და კალათბურთელები ჰყავთ. მატჩის წინ შედეგზე ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ აუცილებლად უნდა ვიბრძოლოთ და კარგი დაცვა ვითამაშოთ.

**სერჯიო სკარიოლო:**

– კარგი მატჩი იყო. სათადარიგო კალათბურთელებში გაუმჯობესება იგრძნობოდა. მთელი მატჩის განმავლობაში 23 პასი გავაკეთეთ და ამით ბედნიერი ვარ. თამაშის წინ ვსაუბრობდი, რომ მარტივი პასები უნდა გაგვეკეთებინა და შედეგიც კარგი დავაფიქსირეთ. მზადებას უკვე მომდევნო მატჩისთვის გავაგრძელებთ. რაც შეეხება რუდი ფერნანდესს, მას 2009 წლიდან ვიცნობ. ძალიან კარგი კალათბურთელია. ის არის მაგალითი თანაგუნდელებისთვის. ძალიან ბევრი ახალი მოთამაშეა და მათ დიდი მემკვიდრეობა უნდა გადასცეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

საზოგადოება

# ვანო ჯავახიშვილს აკრიტიკებენ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

**„მთავარი არხის" განცხადებას ვანო ჯავახიშვილი გამოეხმაურა:**

– გავეცანი „მთავარი არხის" განცხადებას ჩვენი გუნდის წასვლასთან დაკავშირებით. მინდა გითხრათ, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. ჩემი პრინციპებიდან გამომდინარე, ვფიქრობდი, რომ არ იქნებოდა კარგი შიდა ამბების გამომზეურება, უბრალოდ, ახლა ვთვლით, რომ ეს არის ჩვენი გუნდის მიზანმიმართული დაზიანების მცდელობა. სიმართლე ის არის, რომ ფინანსური კრიზისის გამო არხზე ჩვენი გადაცემები მართლა დაიხურა – „ვანოს შოუ", „ახალი შაბათის შოუ", „მთავარი ბიჭები", „მთავარი გოგოები" – და არხზე დარჩა ისეთი გადაცემები, რომლებსაც სპონსორები ჰყავდათ. სამი თვის განმავლობაში ვიმუშავეთ აბსოლუტურად უხელფასოდ და ერთი წამითაც არ გაგვიჩერებია ეთერი. ჩემი გუნდის თანამშრომლები ჩაცვივდნენ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში, დავალიანება დღემდე დავალიანებად დარჩა, იმის მიუხედავად, რომ არხზე დარჩენილი თანამშრომლები ჩვეულებრივად იღებენ ანაზღაურებას. რაც შეეხება მთავარი არხის შემოთავაზებას, არხმა შემოგვთავაზა შემდეგი: მხოლოდ დარჩეს „ვანოს შოუ", ხოლო დანარჩენი გადაცემები დაიხუროს. ეს ნიშნავდა იმას, რომ გუნდის 70% სახლში უნდა გაგვეშვა, ის ადამიანები, რომლებიც მთელი ჩვენი არსებობის განმავლობაში გვერდში გვედგნენ და ბოლომდე მოგვყვებოდნენ. ეს ის თანამშრომლები არიან, რომლებიც არცერთი წამით არ იხევდნენ უკან, როცა არხს გასაჭირი ჰქონდა. რა თქმა უნდა, ჩვენმა გუნდმა ერთიანობა ამჯობინა და ამიტომ დავთანხმდით ისეთ შემოთავაზებას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, გუნდი მაქსიმალურად შეგვენარჩუნებინა.

„მთავარი არხის" მხრიდან ამ ტიპის განცხადება და ჩვენთვის ზიანის მოყენების მცდელობა არის, პირდაპირ გეტყვით, სრული უნამუსობა და ბოროტება. მივმართავ ზემოთ ხსენებული განცხადების ავტორს: უკადრებელს ნუ კადრულობ, „მეგობარო"!

ერთგულებაზე კრიტიკას ვერ მივიღებთ, რადგან ვთვლით, რომ ერთგულება უნდა იყოს ორმხრივი და არა ცალმხრივი.

**ნანუკა ჟორჟოლიანი:**

– მაშინ კი ჯოჯოხეთი მეგონა თუთუნის საწყობში გაკეთებული სტუდია, სადაც ვანო და მე შეგვიშვეს, მაგრამ ბეტონის კედლებში შექმნილმა გადაცემებმა შექმნეს ამ არხის ისტორია ჩვენს სხვა კოლეგებთან ერთად.

საწყობის კედელზე დაწერილი „ვანოს შოუ" უკვე ამ არხის ისტორიაა და ამას ვერაფერი წაშლის. ვერავინ და ვერაფერი. თუ ვანო წაიშლება, წავიშლებით ყველა, იმიტომ, რომ ეს არხი შექმნეს ადამიანებმა და არა ძვირადღირებულმა ტექნიკამ და სტუდიებმა, სადაც ზამთარში ციოდა, ზაფხულში ცხელოდა, მაგრამ ეს სულაც არ გვიქმნიდა ბარიერებს.

მიხარია, რომ „ვანოს შოუ" სატელევიზიო სივრცეში იქნება. სხვანაირად არც შეიძლებოდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

კალეიდოსკოპი

# უზარმაზარი ალიგატორის თავდასხმას მამაკაცი ცოცხალი გადაურჩა



ამერიკის ფლორიდის შტატში მდებარე ტბა ტონოტოსასაზე ვარჯიშის დროს 34 წლის ხუან კარლოს ლა ვერდეს ალიგატორი დაესხა თავს.

აღნიშნული ინციდენტი აგვისტოს დასაწყისში მოხდა, როდესაც მამაკაცი ცურვაში შეჯიბრებისთვის ემზადებოდა. ლა ვერდე ტბაზე თანაშემწესთან ერთად იმყოფებოდა, რომელიც მის ვარჯიშს დრონის გამოყენებით ვიდეოზე იღებდა. მორიგი გაცურვის დროს სპორტსმენი რაღაც მყარს დაეჯახა.

– ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა და მე ამ უზარმაზარი არსების ქერცლი, ენა და კბილები ვიგრძენი, – იხსენებს რეპტილიის თავდასხმის შედეგად დაზარალებული.

მტაცებლის თავდასხმა სულ რამდენიმე წამს გრძელდებოდა, მაგრამ 3,5 მეტრი სიგრძის ალიგატორმა მოასწრო მისთვის თავსა და სხეულის ზედა ნაწილზე დაზიანებების მიყენება. მამაკაცმა ალიგატორისგან თავი დაიხსნა და ნაპირთან მიცურდა. ნაპირზე მას ორი ბავშვი შეხვდა. მათ დედას უხმეს, რომელმაც სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სასწრაფო დახმარებამ დაშავებული ლა ვერდე საავადმყოფოში გადაიყვანა. გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში მამაკაცს ექვსი საათი უტარდებოდა ოპერაცია, რომლის დროსაც მას თავის ტვინის დაზიანებული ნაწილი მოაშორეს და მოტეხილი ყბა აღუდგინეს. ლა ვერდეს ასევე სერიოზული დაზიანებები ჰქონდა მიყენებული ზურგსა და მხრებზე. მას ჯანმრთელობის აღსადგენად ხანგრძლივი მკურნალობის კურსის გავლა მოუწევს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# დინამოები იგებენ, გაბედავა ასიანია



**დინამო (ბთ)-თელავი 4:0**
**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0 ვაწაძე (39), 2:0 ბიძინაშვილი (69), 3:0 ჯიღაური (72), 4:0 ფანცულაია (90)

**დინამო:** ალავიძე, ტეიდი (ფალავანდიშვილი 78), აზაცკი, ვაწაძე (ფანცულაია 68), ჯიღაური (ქაფიანიძე 83), მამუჩაშვილი, ალთუნაშვილი, ნავალოვსკი (ზარია 78), მ.კობახიძე, რადინი (ბიძინაშვილი 68), ჩაბრაძე

**თელავი:** სანიკიძე, ც.კაპანაძე, გიგაშვილი, ბერიაშვილი, ზ.თევზაძე, ვიტინიო (პარკინაშვილი 46), ბ.ქავთარაძე (მუჯირი 74), ჯიქია (ჩუკვურა 65), ქოჩლაძე (ფირანაშვილი 65), კვერნაძე (ყაველაშვილი 74), ფაცაცია

მოქმედმა ჩემპიონმა 4:0 მოუგო თელავს და ისევ 7-ქულიანი ფორით ლიდერობს. პირველ ტაიმში მათე ვაწაძემ გაიტანა, შესვენების შემდეგ კი ჯერ ირაკლი ბიძინაშვილმა კარგი კომბინაციის შემდეგ გაზარდა სხვაობა; მალევე ჯაბა ჯიღაურმა 3:0 გახადა ანგარიში; მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში კი, კარგი შეტევა გიორგი ფანცულაიამ დაასრულა.

თელაველები მე-7 ადგილზე არიან. გუნდს ზედიზედ 4 ფრე ჰქონდა და ამჯერად დიდი ანგარიშით წააგო.

**დინამო (თბ)-ლოკომოტივი 5:0**
**თბილისი. დინამო არენა**

1:0, 2:0 იმრანი (17, 32), 3:0, 4:0 ბილენკი (35, 39), 5:0 გაბედავა (83)

**დინამო:** კერესელიძე, მალი, კალანდაძე (მაისურაძე 46), ხვადაგიანი, მექვაბიშვილი (სხირტლაძე 70), იმრანი (გაბედავა 46), ბილენკი, კუცია, კობოური, კამარა (ბარნსი 46), ანტილევსკი (პარკაძე 61)

**ლოკომოტივი:** გოშაძე, გიორგაძე, შეყილაძე, ომარაშვილი (ჭიაბრიშვილი 61), კეკელიძე (მახარობლიძე 70), ძებნიაური (შერმადინი 70), გაბაძე, კახაბრიშვილი (კალანდაძე 46), იაშვილი, აბდულაჰი (ანდრონიკაშვილი 46), უბილავა

თბილისურ დერბიში დინამომ აუტსაიდერ ლოკომოტივს 5:0 მოუგო. დინამოელები კვლავ მე-2 ადგილზე არიან და ლიდერთან ჩამორჩენას ინარჩუნებენ.

პირველ ტაიმში უკვე 4:0 იყო: ჯერ ყოფილმა ლოკომოტიველმა ულად-ომარ იმრანმა შეასრულა დუბლი, მერე – სტანისლავ ბილენკიმ.

მე-2 ნახევარში კი გიორგი გაბედავას გოლით საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა. საინტერესოა, რომ ეს გაბედავას მე-100 გოლი გამოდგა საქართველოს ჩემპიონატში.

**ტორპედო-სამგურალი 3:2**
**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

0:1 რუხაძე (12), 1:1 მანჯგალაძე (45), 1:2 პატარკაციშვილი (74), 2:2 ახვლედიანი (89), 3:2 მჭედლიძე (90)

**ტორპედო:** კვასხვაძე, მონტეირო, გიგაური, გ.კუხიანიძე (მჭედლიძე 84), მანჯგალაძე (ცინცაძე 73), არაბიძე (შულაია 73), გეგეჭკორი, ქიმაძე (ბუღრიძე 46), შერგელაშვილი, თ.ახვლედიანი, გოგლიჩიძე (ნადარაია 66)

**სამგურალი:** შოვნაძე, ი.ახვლედიანი, პატარკაციშვილი, გილმორი (ნიქაბაძე 46), მაისაშვილი, ჩიხლაძე (ქურდაძე 78), რუხაძე (სიმდიანკინი 78), კალანდარიშვილი (გ.თევზაძე 64), ბაშელეიშვილი, კიკაბიძე, ჯერალდო (დევდარიანი 86)

ქუთაისის ტორპედომ ზესტაფონში, დრამატულ შეხვედრაში 3:2 მოუგო წყალტუბოს სამგურალს. არადა, მატჩის უმეტეს ნაწილში სამგურალი იგებდა.

წყალტუბოელები გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა ირაკლი რუხაძემ დააწინაურა. მას 8 გოლი მოუგროვდა სეზონში. პირველი ტაიმის ბოლოს ტორპედომ გიული მანჯგალაძის გოლით გაათანაბრა.

75-ე წუთზე სამგურალი ისევ წინ გავიდა. ომარ პატარკაციშვილის თავური და – 1:2. პატარკაციშვილისთვის ეს მეორე გოლი იყო სეზონში და ორივე ტორპედოს კარში... თუმცა ამჯერად ეს გატანილი მომგებიანი ვერ გამოდგა.

90-ე წუთზე თორნიკე ახვლედიანმა ახლოდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა, ხოლო მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ლევან მჭედლიძემ თავურით მოაგებინა ტორპედოს – 3:2. გოლი ორივე შემთხვევაში აკაკი შულაიას აქტიურობასა და პასს მოჰყვა.

ტორპედოს კარგი სერია აქვს: ბოლო 5 მატჩში 4 მოიგო და 15 გოლი გაიტანა. გუნდი მე-5 ადგილზეა. სამგურალს კი ბოლო 4 მატჩია, არ გაუმარჯვია, მაგრამ მე-3 პოზიციას ინარჩუნებს.

**სიონი-გაგრა**
**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

**სიონი:** ისიანი, ბექაური, კარვალიუ, ლ.ხორხელი, ნ.ხორხელი, ჯავაშვილი (ქოჩაკიძე 60), ფოცხვერია, ჟორდანია, ნემსაძე (ტვილდიანი 75), კიკალიშვილი, ზურაბიანი (ჩაგანავა 86)

**გაგრა:** ქავთარაძე, ხოსიტაშვილი, ნოზაძე, სეხნიაშვილი, შონია, ქობულაძე, შეწირული, ფარულავა (ლომთაძე 79), ლომინაძე (სულთანიშვილი 64), გვიშიანი (ხაბელაშვილი 51), მაქაცარია (ბუხაიძე 79)

უშუალო კონკურენტების მატჩი 0:0 დასრულდა.

შედეგად, სიონი მერვეზეა, გაგრა – მეცხრეზე. მათ შორის სხვაობა ერთი ქულაა.

სხვათა შორის, წინა 2 წრეში 2-ჯერ ბოლნისელებმა მოიგეს ერთნაირი ანგარიშით -2:1.

უნდა ითქვას, რომ ეს გაგრელთა პირველი უგოლო ფრეა ამ სეზონში.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 24 | 17 | 6 | 1 | 64-17 | 57 |
| 2.დინამო (თბ) | 24 | 15 | 5 | 4 | 52-22 | 50 |
| 3.სამგურალი | 24 | 10 | 9 | 5 | 38-25 | 39 |
| 4.დილა | 24 | 11 | 4 | 9 | 28-24 | 37 |
| 5.ტორპედო | 24 | 10 | 4 | 10 | 32-40 | 34 |
| 6.საბურთალო | 24 | 8 | 6 | 10 | 32-34 | 30 |
| 7.თელავი | 24 | 6 | 10 | 8 | 24-24 | 28 |
| 8.სიონი | 24 | 6 | 8 | 10 | 25-40 | 26 |
| 9.გაგრა | 24 | 6 | 7 | 11 | 27-41 | 25 |
| 10.ლოკომოტივი | 24 | 1 | 1 | 22 | 18-73 | 4 |

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## შედეგები

**3 სექტემბერი**
**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ევერტონი-ლივერპული ........ 0:0
ბრენტფორდი-ლიდსი ........ 5:2
ვულვზი-საუთჰემპტონი ........ 1:0
ნოტინგემი-ბორნმუთი ........ 2:3
ნიუკასლი-კრ.პალასი ........ 0:0
ტოტენჰემი-ფულემი ........ 2:1
ჩელსი-ვესტ ჰემი ........ 2:1
ასტონ ვილა-სიტი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 5 | 5 | 0 | 0 | 13-4 | 15 |
| 2.სიტი | 6 | 4 | 2 | 0 | 20-6 | 14 |
| 3.ტოტენჰემი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-5 | 14 |
| 4.ბრაიტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| 5.ჩელსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-9 | 10 |
| 6.ლივერპული | 6 | 2 | 3 | 1 | 15-6 | 9 |
| 7.ბრენტფორდი | 6 | 2 | 3 | 1 | 15-9 | 9 |
| 8.მანჩესტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-7 | 9 |
| 9.ლიდსი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-10 | 8 |
| 10.ფულემი | 6 | 2 | 2 | 2 | 9-9 | 8 |
| 11.ნიუკასლი | 6 | 1 | 4 | 1 | 7-6 | 7 |
| 12.საუთჰემპტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| 13.ბორნმუთი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-18 | 7 |
| 14.ვულვზი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-4 | 6 |
| 15.კრ.პალასი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-9 | 6 |
| 16.ევერტონი | 6 | 0 | 4 | 2 | 4-6 | 4 |
| 17.ასტონ ვილა | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| 18.ვესტ ჰემი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-8 | 4 |
| 19.ნოტინგემი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-14 | 4 |
| 20.ლესტერი | 5 | 0 | 1 | 4 | 6-11 | 1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბლეკბერნი-ბრისტოლი ........ 2:3
ლუტონი-უიგანი ........ 1:2
მილუოლი-კარდიფი ........ 2:0
ნორვიჩი-ქოვენთრი ........ 3:0
პრესტონი-ბირმინგემი ........ 0:1
როტერჰემი-უოტფორდი ........ 1:1
სუონსი-ქპრ ........ 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-ფრაიბურგი ........ 2:3
ბოხუმი-ვერდერი ........ 0:2
ვოლფსბურგი-კიოლნი ........ 2:4
უნიონი-ბაიერნი ........ 1:1
შტუტგარტი-შალკე ........ 1:1
აინტრახტი-ლაიფციგი ........ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ფრაიბურგი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-5 | 12 |
| 2.დორტმუნდი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-4 | 12 |
| 3.ბაიერნი | 5 | 3 | 2 | 0 | 17-3 | 11 |
| 4.უნიონი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-4 | 11 |
| 5.კიოლნი | 5 | 2 | 3 | 0 | 10-6 | 9 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-6 | 9 |
| 7.გლადბახი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 8.ვერდერი | 5 | 2 | 2 | 1 | 12-10 | 8 |
| 9.აინტრახტი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-11 | 8 |
| 10.მაინცი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 11.ლაიფციგი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-9 | 5 |
| 12.შტუტგარტი | 5 | 0 | 4 | 1 | 4-5 | 4 |
| 13.ლევერკუზენი | 5 | 1 | 0 | 4 | 6-9 | 3 |
| 14.აუგსბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |
| 15.შალკე | 5 | 0 | 3 | 2 | 5-12 | 3 |
| 16.ვოლფსბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-10 | 2 |
| 17.ჰერტა | 4 | 0 | 1 | 3 | 2-6 | 1 |
| 18.ბოხუმი | 5 | 0 | 0 | 5 | 3-15 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-ზ.პაული ........ 2:2
პადერბორნი-მაგდებურგი ........ 1:0
რეგენსბურგი-კილი ........ 0:0
ჰამბურგი-კარლსრუე ........ 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-ხირონა ........ 1:1
რეალი-ბეტისი ........ 2:1
სოსიედადი-ატლეტიკო ........ 1:1
სევილია-ბარსელონა ........ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 2.ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 11-1 | 10 |
| 3.ბეტისი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| 4.ვილიარეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 5.სოსიედადი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 6.ატლეტიკო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 7.ბილბაო | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 8.სელტა | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| 9.ოსასუნა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 10.მალიორკა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| 11.ხირონა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 12.ალმერია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 13.რაიო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 14.ვალენსია | 3 | 1 | 0 | 2 | 1-2 | 3 |
| 15.სევილია | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| 16.ვალიადოლიდი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-8 | 1 |
| 17.ესპანიოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| 18.ელჩე | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 19.ხეტაფე | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |
| 20.კადისი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-10 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალავესი-ლას პალმასი ........ 1:1
ვილიარეალი ბ-მირანდესი ........ 3:0
პონფერადინა-ხიხონი ........ 1:3
ტენერიფე-რასინგი ........ 1:0

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-იუვენტუსი ........ 1:1
მილანი-ინტერი ........ 3:2
ლაციო-ნაპოლი ........ 1:2

**ნაპოლის მე-2 გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა**

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-4 | 11 |
| 2.მილანი | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| 3.ატალანტა | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 10 |
| 4.რომა | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 10 |
| 5.იუვენტუსი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-2 | 9 |
| 6.ინტერი | 5 | 3 | 0 | 2 | 11-8 | 9 |
| 7.ლაციო | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 8.უდინეზე | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 9.ტორინო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 10.ფიორენტინა | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 11.სასუოლო | 5 | 1 | 3 | 1 | 3-5 | 6 |
| 12.სალერნიტანა | 4 | 1 | 2 | 1 | 5-2 | 5 |
| 13.სპეცია | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 14.ემპოლი | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| 15.ბოლონია | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 16.ვერონა | 4 | 0 | 2 | 2 | 4-8 | 2 |
| 17.ლეჩე | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| 18.სამპდორია | 4 | 0 | 2 | 2 | 1-7 | 2 |
| 19.კრემონეზე | 5 | 0 | 1 | 4 | 4-9 | 1 |
| 20.მონცა | 4 | 0 | 0 | 4 | 2-11 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ჩიტადელა ........ 0:0
ბარი-სპალი ........ 2:2
ბრეშა-პერუჯა ........ 2:1
ვენეცია-ბენევენტო ........ 0:2
რეჯინა-პალერმო ........ 3:0
ტერნანა-კოზენცა ........ 1:1
ფროზინონე-კომო ........ 2:0
ჯენოა-პარმა ........ 3:3

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ოსერი-მარსელი ........ 0:2
ლიონი-ანჟე ........ 5:0
ნანტი-პსჟ ........ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 6 | 5 | 1 | 0 | 24-4 | 16 |
| 2.მარსელი | 6 | 5 | 1 | 0 | 13-3 | 16 |
| 3.ლიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 14-4 | 13 |
| 4.ლანსი | 5 | 4 | 1 | 0 | 14-6 | 13 |
| 5.მონპელიე | 5 | 3 | 0 | 2 | 15-9 | 9 |
| 6.რენი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 7.ლორიანი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-8 | 7 |
| 8.ლილი | 5 | 2 | 1 | 2 | 10-12 | 7 |
| 9.ოსერი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-11 | 7 |
| 10.ნანტი | 6 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 |
| 11.ტრუა | 5 | 2 | 0 | 3 | 10-13 | 6 |
| 12.კლერმონი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-10 | 6 |
| 13.ტულუზა | 5 | 1 | 2 | 2 | 7-9 | 5 |
| 14.რეიმსი | 5 | 1 | 2 | 2 | 9-12 | 5 |
| 15.ნიცა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 16.მონაკო | 5 | 1 | 2 | 2 | 7-11 | 5 |
| 17.ბრესტი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-15 | 4 |
| 18.სტრასბური | 5 | 0 | 3 | 2 | 4-6 | 3 |
| 19.ანჟე | 6 | 0 | 2 | 4 | 6-17 | 2 |
| 20.აიაჩო | 5 | 0 | 1 | 4 | 3-9 | 1 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

პარიზი-ბორდო ........ 1:3

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

აიაქსი-კამბური ........ 4:0
ტვენტე-პსვ ........ 2:1
სპარტა-ვოლენდამი ........ 4:0
იგლზი-ფეიენოორდი ........ 3:4

**პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი**

ბრაგა-გიმარაეში ........ 1:0
ჟილ ვისენტე-პორტუ ........ 0:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენკი-სტ.ტრუიდენი ........ 0:0
მეხელენი-სერენი ........ 2:3
ეუპენი-კორტრაიკი ........ 0:1
სტანდარდი-ოსტენდე ........ 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-ლუშტენაუ ........ 2:2
ზალცბურგი-ტიროლი ........ 2:0
შტურმი-ჰარტბერგი ........ 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-რეინჯერსი ........ 4:0
ლივინგსტონი-ჰართსი ........ 1:0
მოზერველი-დ.იუნაიტედი ........ 0:0
როსი-აბერდინი ........ 1:1
სტ.ჯონსონი-სტ.მირენი ........ 3:0
ჰიბერნიანი-კილმანროკი ........ 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაქშეჰირი-ალანია ........ 2:0
სივასი-ქარაგუმრუქი ........ 0:0
გირესუნი-ქონია ........ 0:1
ფენერბახჩე-ქაისერი ........ 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლამია-ასტერასი ........ 0:0
ოლიმპიაკოსი-იონიკოსი ........ 3:1
პანათინაიკოსი-ლევადიაკოსი ........ 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ბაზელი ........ 2:1
ციურიხი-ლუგანო ........ 1:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჩესკე-ბოლესლავი ........ 0:2
ლიბერეცი-პლზენი ........ 0:1
ტეპლიცე-იაბლონეცი ........ 3:2
სპარტა-ზლინი ........ 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სტალი-სლასკი ........ 2:0
ლეხია-ვარტა ........ 0:0
კრაკოვია-ჩენსტოხოვა ........ 3:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დნიპრო-ვერესი ........ 2:0
ზორია-დინამო ........ 3:2
მეტალისტი 1925-ვორსკლა ........ 3:2

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

კეჩეკემეტი-პაკში ........ 3:1
ვაშაში-პუშ.აკადემია ........ 1:1
დებრეცენი-ფეჰერვარი ........ 1:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბოდო-მიოლდე ........ 1:4

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 2. უსწავლელი, უვიცი ადამიანი; 3. გულისნადები, საიდუმლო; 4. ნივთიერება, რომელიც დენს არ ატარებს; 5. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 8. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში; 11. მსხვერპლად შეწირული რამე; 14. თირკმლისზედა ჯირკვლის მიერ გამომუშავებული ჰორმონი; 15. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. ხელოვნურად მიღებული რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 17. ღია, გაშლილი ადგილი მთებს შორის; 19. იტალიური რესტორანი; 21. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 22. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი.

**თარაზულად:** 1. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე იმერეთში; 5. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი არაბეთის ნახევარკუნძულზე; 7. ქართველი კარდიოლოგი ქალი, აკადემიკოსი; 9. სისხლის შემსწავლელი მეცნიერება; 10. დაბა ბოლნისის რაიონში; 12. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 13. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 16. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 17. ხბოს, თხის ან ცხვრის ტყავისგან დამზადებული ღვინის, არყის ჩასასხმელი ჭურჭელი; 18. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 20. ჩინური ნავთობკომპანია; 22. ნაქსოვი ფეხსამოსი; 23. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 24. სტადიონი ლონდონში; 25. ხელოვნური წყალსაცავი თიანეთის რაიონში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თავთუხი; 2. ლაშარელა; 3. მადონა; 4. ისტრი; 5. ჰანიბალი; 8. კალაჰარი; 12. ლასო; 13. ფონეტიკა; 14. იდიოტი; 16. ლებარდე; 18. ნოკია; 20. ვაჩა.

**თარაზულად:** 6. ვალენსია; 7. არაბესკა; 8. კოდაკი; 9. სუფსა; 10. მეცენატი; 11. წყალბადი; 15. კოპერფილდი; 17. კორიფე; 19. ტრავიატა; 21. კისლაკი; 22. სატურაცია; 23. ვაჩნაძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ექოლოტი; 3. ეპიტაფია; 4. ადაპტაცია; 5. მღილი; 6. ოსკარი; 8. არაქსი; 11. ლიქიორი; 14. ექსტერიერი; 15. წერეთელი; 16. რეზონანსი; 17. ყაურმა; 19. ალფონსი; 21. ტონგა; 22. ფაუნა.

**თარაზულად:** 1. პენელოპა; 5. მუცო; 7. ფრანკი; 9. მოდიფიკაცია; 10. კალმარი; 12. არაქისი; 13. ბოცვერი; 16. რარიტეტი; 17. ყავა; 18. განჯა; 20. ევერტონი; 22. ფლეში; 23. კოლომბო; 24. ნადური; 25. გოგრა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 სექტემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.8956 |
| ევრო | — 2.8950 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 3.3482 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.7654 |

## ამინდის პროგნოზი 5 სექტემბრისთვის




## რატი წითელაძე მამა გახდება



მსახიობი და პროდიუსერი რატი წითელაძე მამა გახდება. მისი რჩეული ფოტოხელოვანი ოლგა სლუსარევაა.

წყვილმა ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა და ამ ფორმით გაუზიარა საკუთარი ბედნიერება ფართო საზოგადოებას.

— გოგო თუ ბიჭი? — ამ კითხვით მიმართა რატიმ ათასობით გულშემატკივარს და ათასობით პასუხიც მიიღო.

## ონში ზურა ბაკურაძის ხსოვნის საღამო გაიმართება



9 სექტემბერს ონში სახალხო დღესასწაული „ონელობა 2022“ გაიმართება. ღონისძიება „ქართული ხმების“ მომღერლის, ტრაგიკულად გარდაცვლილი ზურა ბაკურაძის ხსოვნას მიეძღვნება.

„ონელობა 2022“-ის ოფიციალური ნაწილის გახსნაზე მოხდება საპატიო ონელების არჩევა, ღვაწლმოსილი ონელების, მედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოება.

შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარდგებიან ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების შემოქმედებითი ანსამბლები. სტუმრებისთვის დაგეგმილია ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის მუნიციპალიტეტების ეთნოგრაფიული ლოკაციების გაცნობა, არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დათვალიერება, ადგილობრივი კულინარიის დაგემოვნება.

„ონელობა 2022“-ს დაასრულებს გალაკონცერტი „შქმერის მთა გადავიარე“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ზურა ბაკურაძის მეგობრები: ანსამბლი „ქართული ხმები“, ანსამბლი „რუსთავი“, „თეატრალურის კვარტეტი“, აჩიკო ნიჟარაძე, ქეთი გაბისიანი, კახა მიქიაშვილი, „ალილო“, სალომე ბაკურაძე, გიორგი სუხიტაშვილი, „ფორტე“, ანუკი ცქვიტინიძე, გელა დონაძე, მარიკა ქაცარავა.

ღონისძიებას ზურა და გივი ბაკურაძეების სახელობითი ვარსკვლავის გახსნა დააგვირგვინებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იუმორი

ქმარი ცოლს, რომელიც მანქანის საჭესთან ზის, ურეკავს და ეუბნება:

— ძვირფასო, ახლახან რადიოში გადმოსცეს, რომ ტრასაზე, რომლითაც შენ მგზავრობ, ერთი სულელი საპირისპირო ზოლზე მოძრაობს და ფრთხილად იყავი!

— ერთი?! ერთი კი არა, ასეულობით არიან!

•••

ქალი სამსახურში თვალჩალურჯებული მივიდა. თანამშრომელი ეკითხება:

— რა დაგემართა?

— ქმარმა დამარტყა!

— კი მაგრამ, მეგონა, შენი ქმარი მივლინებაში იყო..

— შენ გეგონა... მე კი დარწმუნებული ვიყავი!

•••

ერთი ქალი მეორეს უყვება:

— გუშინ საყვარელთან ერთად თეატრში ვიყავი.

— და რა სპექტაკლი იყო?

— ტრაგიკომედია.

— საინტერესოა, მომიყევი.

— იქ ჩემს ქმარსა და მის საყვარელს გადავეყარეთ...

•••

საძინებლიდან ქალის ხმა ისმის:

— სად ხარ, ჩემო პრინცო?

კაცი ტუალეტიდან პასუხობს:

— აქ ვარ, ჩემო პრინცესა! თეთრ რაშზე ვზივარ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამეჯლისო ცეკვების პატრიარქი თენგიზ გაჩეჩილაძე გარდაიცვალა



საქართველოს სპორტული – სამეჯლისო ცეკვების ლეგენდა – ფედერაციის დამფუძნებელი და საპატიო პრეზიდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე გარდაიცვალა.

ინფორმაცია სპორტულ-სამეჯლისო ცეკვების ფედერაციამ გაავრცელა:

– ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად 80 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩვენი ფედერაციის დამფუძნებელი და საპატიო პრეზიდენტი, ბატონი თენგიზ გაჩეჩილაძე, რომელსაც 2 დღეში 81 წელი შეუსრულდებოდა.

განუზომლად დიდია საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაციის დამფუძნებლის, ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, მწვრთნელის, სამეცნიერო ნაშრომების ავტორის, პროფესორ თენგიზ გაჩეჩილაძის ღვაწლი საქართველოში სპორტული (სამეჯლისო) ცეკვების დაარსებისა და მისი განვითარების საქმეში. იგი იყო უნიჭიერესი პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი და ნოვატორი თავის მეუღლესთან და მეწყვილესთან – ქალბატონ ლარისა გაჩეჩილაძესთან ერთად, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენ ყველამ ერთად დავკარგეთ 2021 წლის გაზაფხულზე.

ბატონი თენგიზისადა ქალბატონი ლარისას სახელთანაა დაკავშირებული მრავალი თაობის ნიჭიერი მოცეკვავის აღზრდა, რომლებიც დღეს წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ბატონი თენგიზი არის 1000-ზე მეტი საერთაშორისო და ეროვნული შეჯიბრების, თასებისა და ჩემპიონატების ორგანიზატორი და მთავარი სულის ჩამდგმელი!

შეჯიბრებები არ შეჩერებულა არცერთი წელი, დაწყებული 80-იანი წლებიდან, განურჩევლად ქვეყანაში არსებული რთული პერიოდებისა!

რთულია, სიტყვებით გადმოსცე ის უდიდესი ტკივილი, რომელსაც ჩვენ ყველანი განვიცდით ამ დანაკარგის გამო და, დარწმუნებული ვართ, რომ მისი და ქ-ნი ლარისას სულები ყოველთვის ჩვენთან ერთად იქნებიან.

გულწრფელად ვუსამძიმრებთ ამ დიდ დანაკარგს ბატონი თენგიზის ოჯახს, მის შვილებს:

შორენა გაჩეჩილაძეს – საერთაშორისო კატეგორიის მსაჯსა და მწვრთნელს, საქართველოს, ამერიკისა და მრავალი საერთაშორისო შეჯიბრებისა და ჩემპიონატის გამარჯვებულს პროფესიონალებს შორის;

გიორგი გაჩეჩილაძეს – საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტსა და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯსა და მწვრთნელს;

რატი გაჩეჩილაძეს – მოქმედ ათლეტს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონსა და სპორტული ცეკვების აკადემია „თელას“ დირექტორსა და მთავარ ქორეოგრაფს.

**დავით შემოქმედელი, რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელი:**

– ქართულმა კულტურამ, ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა სამეჯლისო ცეკვების პატრიარქი საქართველოში, სამეჯლისო სკოლის დამაარსებელი და დამფუძნებელი როგორც საქართველოში, ასევე ამიერკავკასიაში, რუსთაველის საზოგადოების აქტიური წევრი, ჩვენი უფროსი მეგობარი, ბატონი თენგიზ გაჩეჩილაძე.

მაღალი ერუდიციის პიროვნების, თხემიდან ტერფამდე ინტელიგენტის, ღირსებით სავსე ადამიანის, ბატონი თენგიზის ხსოვნა ბოლო ამოსუნთქვამდე დარჩება ჩვენს გულებში. ნათელი დაადგეს!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ვანო ჯავახიშვილს აკრიტიკებენ



იუმორისტ ვანო ჯავახიშვილსა და მის გუნდს „მთავარი არხიდან“ „ტვ პირველზე“ გადასვლის გამო აკრიტიკებენ.

მას შემდეგ, რაც ვანო ჯავახიშვილმა განცხადება გაავრცელა, რომ გუნდთან ერთად „მთავარ არხს“ ტოვებდა, რიგითი მაყურებლების ნაწილმა მას ფულზე გაყიდული უწოდა.

**„მთავარმა არხმა“ „ვანოს შოუს“ წასვლასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელა:**

– ძალიან ვწუხვართ იმ ფაქტის გამო, რომ „ვანოს შოუს“ გუნდმა „მთავარი არხის“ დატოვებისა და სხვა ტელეკომპანიაში გადასვლის გადაწყვეტილება მიიღო.

მძიმე ფინანსური კრიზისის მიზეზით ივნისის შუა რიცხვებში ჩვენ იძულებულნი გავხდით, დაგვეხურა არხის მთავარი პავილიონი, სადაც იწერებოდა ან პირდაპირ ეთერში გადიოდა არაპოლიტიკური გადაცემები: „ვანოს შოუ“, „ახალი შაბათის შოუ“, „მთავარი ბიჭები“, „სხვა ნანუკა“, „შენი დილა“, „მთავარი ჭკვიანი“, „მხოლოდ ლელასთან“, „სპორტი დიდ ქალაქში“, „მთავარი დიაგნოზი“, „ლიტერატურული სამკუთხედი“, „ამინდზე მეტი“ და „მთავარი მსოფლიოში“.

პავილიონის შენახვა, მასშტაბური სტუდიების ნაქირავები ტექნიკით აღჭურვა და ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა იმდენად ძვირი ჯდებოდა, რომ ჩვენ, უბრალოდ, ვეღარ შევძლებდით ასეთი ხარჯების გაწევას. ამიტომ მივიღეთ პავილიონის გაუქმების მძიმე გადაწყვეტილება.

ზემოთ ჩამოთვლილი გადაცემებიდან ყველამ მიიღო ერთნაირი შეთავაზება, რომ გადასულიყვნენ თვითდაფინანსებაზე; საჭიროების შემთხვევაში, შეეკვეცათ ხარჯები; მორგებოდნენ ალტერნატიულ, უფრო მცირე ზომის ლოკაციებს ეთერში გასასვლელად; ახალ რეალობაზე მოსარგებად, შეეტანათ ცვლილებები გადაცემების ფორმატში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო მარტივი ამოცანა, ფაქტობრივად, ყველა გადაცემამ თანხმობა განაცხადა შეთავაზებულ ცვლილებებზე.

მაგალითად, „შენი დილა“ კვირების განმავლობაში პირდაპირ ეთერში ეზოდან გადიოდა; მოგვიანებით არხის მთავარი ოფისის გვერდით ჩვენ გამოვყავით პატარა სივრცე და ერთგული მაყურებლისგან დახმარების ფონდზე შემოსული თანხებით მოვაწყვეთ მცირე ზომის სტუდია – ბევრად უფრო მოკრძალებული ზომის, ვიდრე ძველი პავილიონი – საიდანაც ახლა ეთერში გადის „შენი დილა“, „ლიტერატურული სამკუთხედი“, „მთავარი დიაგნოზი“ და ა.შ.

„სხვა ნანუკა“ პავილიონის დახურვის შემდეგ გადავიდა რეალითი-ფორმატზე, შემდეგ სახსრების არარსებობის გამო იძულებული გახდა, ივლისში დროებით შეჩერებულიყო, თუმცა ამ პერიოდში ნანუკამ შეკრიბა ახალი გუნდი, მოიძია სპონსორები და სრული თვითდაფინანსებითა და განახლებული ფორმატით სექტემბრიდან იწყებს ახალ სეზონს ჩვენს არხზე.

„მხოლოდ ლელასთან“ აგრეთვე გადავიდა რეალითი-ფორმატზე და სტუდიის გარეშე გადის ეთერში.

ერთადერთი გუნდი, რომელმაც განაცხადა, რომ ვერ შეძლებდა „მთავარი არხის“ ახალ რეალობაზე მორგებასა და ამისთვის აუცილებელი ცვლილებების შეტანას გადაცემებში, „ვანოს შოუს“ გუნდი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ პავილიონის დახურვის შემდეგ ჩვენ მათთან არაერთი დამატებითი საუბარი გავმართეთ, შევთავაზეთ შემცირებული ზომის სტუდიის მოწყობა და დახმარება სპონსორების მოძიებაში, მათ მაინც გადაწყვიტეს ჩვენთან თანამშრომლობის შეწყვეტა და არხიდან წასვლა. როგორც თვითონ განგვიმარტეს, უკეთესი შეთავაზება მიიღეს სხვა ტელეკომპანიისგან.

ვწუხვართ, რომ ჩვენი უმძიმესი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ შევძელით „ვანოს შოუს“ გუნდისთვის დამაკმაყოფილებელი პირობების შექმნა. ჩვენ დღემდე გვაქვს მათი სახელფასო დავალიანება, ისევე, როგორც აბსოლუტურად ყველა თანამშრომლის, რომლებიც დღემდე მუშაობენ „მთავარ არხზე“, ხშირად ანაზღაურების გარეშე და მაინც არ ტოვებენ კომპანიას.

„ვანოს შოუს“ გუნდს უდიდესი წვლილი მიუძღვის „მთავარი არხის“ შექმნაში, წარმატებასა და მაღალ რეიტინგში. ჩვენ მრავალწლიანი თანამშრომლობა გვაკავშირებს და ამ ადამიანებთან ერთად ურთულესი ეტაპები გვაქვს გამოვლილი. ამიტომ მათი წასვლა არხისთვის ნამდვილად დანაკლისია. ეს ჩვენს ინტერესებსა და გეგმებში არ შედიოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ თვითონ გადაწყვიტეს ასე.

„ვანოს შოუს“ გუნდის წასვლის გამო ჩვენ მუშაობა დავიწყეთ ახალ იუმორისტულ შოუზე – ახალი გუნდითა და ახალი წამყვანით, რომლის ვინაობასაც მაყურებელი მალე გაიგებს. გადაცემა სწორედ იმ ახალი სტუდიიდან გავა ეთერში, რომელზეც უარი თქვა „ვანოს შოუმ“ და ეყოლება ის სპონსორები, რომლებსაც ვთავაზობდით „ვანოს შოუს“.

ნაკლები პოლიტიკა და მეტი იუმორი – ასეთი იქნება ჩვენი ახალი იუმორისტული შოუ, რომელიც ეთერში გავა, რა თქმა უნდა, იმავე დღეს, იმავე დროსა და იმავე ადგილზე ყოველ პარასკევს, 22:00 საათზე, „მთავარ არხზე“.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ასტროპროგნოზი



5 სექტემბრისთვის

**ვერძი** – საქმეში ხელს უყურადღებობა და დაუდევრობა გიშლით. ერიდეთ ქარაფშუტა და ზარმაც ადამიანებთან ურთიერთობას. **კურო** – ნუ აჩქარდებით. გულმოდგინედ გააანალიზეთ თითოეული ნაბიჯი. ილუზიებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – კომერციული საქმიანობისათვის, ცოდნის არეალის გასაფართოებლად მშვენიერი დღეა. არ იზარმაცოთ. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე გაქვთ. **ლომი** – ნებისმიერი კოლექტიური საქმიანობა თქვენგან სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს. მოსალოდნელია კონფლიქტი უფროსობასთან. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან ურთიერთობა გაფორიაქებთ. ერიდეთ გაუთვალისწინებელ ხარჯებს. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად. ახლობლებთან ურთიერთობა ჰარმონიულია. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში ყურადღების ცენტრში ხართ. თავმოყვარეობას გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – მეგობრების გონივრული რჩევები გაითვალისწინეთ. ეცადეთ, საქმე აუჩქარებლად აკეთოთ. **თხის რქა** – სამსახურში ხელმძღვანელობის მხრიდან დაბრკოლებები შეგხვდებათ. ჯანმრთელობას მიხედეთ და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ დააყოვნოთ. **მერწყული** – დაძაბული დღეა. ხმაურიან საზოგადოებაში გამოჩენას ერიდეთ. გეგმები გეცვლებათ. **თევზები** – მშვიდი დღეა. საქმეში ხელს არავინ გიშლით. საღამოს დაისვენეთ და გაერთეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბაზრის სახელწოდება ძველად საქართველოში; 2. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 3. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში; 4. კონკურსის შემფასებელ სპეციალისტთა ჯგუფი; 5. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 8. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 12. ქართული მინერალური წყალი; 13. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 14. მოკლე გონებამახვილური გამონათქვამი; 16. თეატრალური სანახაობის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ყავის მოსადუღებელი სახელურიანი ჭურჭელი; 20. წვრილად დაჭრილი ხორცისა და ბოსტნეულისგან მომზადებული კერძი.

**თარაზულად:** 6. იაპონიაში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური; 7. ეკოლოგთა, ბუნების დამცველთა საერთაშორისო ორგანიზაცია; 8. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი; 9. ილეთი ჭიდაობაში; 10. მუსიკის, სიმღერის მოყვარული ადამიანი; 11. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა; 15. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. აეროპორტი ერევანში; 21. უმაღლესი სათათბირო ორგანო ძველად საქართველოში; 22. ბრიტანელი პოლიციელი; 23. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

